კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ
ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 82 (15295)

7 აპრილი
პარასკევი
1972
ფასი 2 კაპ.

გაზაფხულის ერთი დღე წელიწადს კვებავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგაზაფხულო თესვის კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ბევრი რაიონის მხვნელ-მთესველები გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდებს მაქსიმალურად იყენებენ. ასეა მცხეთისა და კასპის რაიონების უმეტეს სოფლებში. სურათებზე მარჯვნივ მცხეთის რაიონის ძალისის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ა. ბეკოშვილი და ვ. ფსუტური მინდვრად; ქვემოთ — ჭარხლის თესვა კასპის რაიონის სამთავისის კოლმეურნეობაში.

ი. დავითაშვილისა და ხ. თევზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაზეთი და მკითხველი

გაზეთის მისამართით გამოგზავნილ პაკეტებზე სამ თვეზე მეტია დამკვიდრდა თარიღი 1972. ჩვენს ყოფაცხოვრებაში მტკიცედ შემოაბიჯა ახალი ხუთწლედის მეორე წელმა.

გასულმა წელმა სამშობლოს მატიანეს მრავალი სასახელო და მარად დაუვიწყარი ფურცელი შემატა. ეს იყო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს მიღწევათა წელი.

უფრო ნათელი პერსპექტივები, დიდი ამოცანებია დასახული მიმდინარე 1972 წელს. უნდა ამაღლდეს მრეწველობის დონე, გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. წელს საბჭოთა ადამიანებმა უფრო მეტი წვლილი უნდა შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ამ ამოცანების შესრულებას ემსახურება ჩვენი პრესა.

გაზეთი ათასი უხილავი ძაფით არის დაკავშირებული მასებთან, ყოველი მართალი სიტყვა ადამიანის გულამდე მიაქვს. ჩვენში გაზეთი და მკითხველი, გულითადი მეგობრები, ყოველდღიური კავშირით ურთიერთნდობითა და მხარდაჭერით არიან მოსილნი.

ჩვენი გაზეთები მკაფიოდ გამოხატავენ ხალხთან საბჭოთა პრესის განუყოფელ კავშირს! მკითხველები ინტერესით გვწერენ ჩვენი თანამედროვეების შრომითი მიღწევების შესახებ, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს წინსვლას.

ამიტომაც არის, რომ წელს განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება პერიოდულ პრესაზე. ბევრად გადიდდა მათი ტირაჟები. პრესის გავრცელება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას.

სად ვრცელდება წარმატებით ჟურნალ-გაზეთები? იქ, სადაც პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები სისტემატურად ამახვილებენ ყურადღებას პრესის საკითხებზე და საქმიანად წარმართავენ საზოგადოებრივ გამავრცელებელთა მუშაობას.

რესპუბლიკაში გვყავს „სოიუზპეჩატის“ მუშაკთა, პრესის გამავრცელებელთა დიდი არმია, რომელთა უმრავლესობა შესანიშნავი პროპაგანდისტები არიან. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე პრესის, პროპაგანდისა და გავრცელების საზოგადოებრივი საბჭოები.

მასებში პრესის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი მკითხველებისათვის ჟურნალ-გაზეთების დროულმა მოწოდებამ. ჩვენს რესპუბლიკაში მრავლად არიან გაზეთის მეგობრები — მოწინავე აქტივისტები, პრესის გამავრცელებლები და დამტარებლები.

დიდი სამამულო ომის მონაწილე ს. ჩიქვაიძე 27 წელია დაუღალავად ემსახურება ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მშრომელებს. მას დარსა თუ ავდარში, სოფლის მოსახლეობისათვის დროულად მიაქვს ჟურნალ-გაზეთები, წერილები, ფულის ბარათები და სხვა საფოსტო გზავნილებანი. სწორედ ამიტომ არის, რომ ამაგდარი ფოსტალიონის გამოჩენას სიხარულით ხვდებიან სოფლის მშრომელები. — მე მსურს, რომ ჩემ მიერ მიტანილ წერილს, გაზეთს ყოველთვის სიხარული და ბედნიერება მიჰქონდეს ჩემი თანასოფლელებისათვის. — ამბობს იგი. თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე მას არაერთხელ მიუღია კავშირგაბმულობის ზუგდიდის განყოფილებიდან ქების სიგელები და ფულადი პრემია.

გალის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ვერ ნახავთ ვერცერთ მუშასა და მოსამსახურეს, რამდენიმე დასახელების ჟურნალი და გაზეთი რომ არ ჰქონდეს გამოწერილი. ამ საქმეში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის საზოგადოებრივ გამავრცელებელს აგრონომ ნ. გოგოხიას. მისი აქტიური მონაწილეობით მიმდინარე წლისათვის გაზეთები გამოწერილი აქვს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ყველა ოჯახს. ისინი ჟურნალ-გაზეთებს დროულად, შეუფერხებლად იღებენ.

ქვედა საზანოს (ზესტაფონის რაიონი) კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ოთხასამდე კომლი ცხოვრობს. მათ შრომაც უყვართ და კულტურული დასვენებაც. ისინი გულმოდგინედ კითხულობენ წიგნს, ჟურნალ-გაზეთს, — ადამიანთა სულიერ მეგობრებსა და ერთგულ მრჩევლებს. კოლმეურნეობა პრესის გავრცელებაში მოწინავეა და ჟურნალ-გაზეთებიც დროულად მიდის სოფლის ყველა ოჯახში.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ადგილებიდან რედაქციაში მოდის სიგნალები იმის შესახებაც, რომ ზოგან საჭირო ღონისძიება არ ხორციელდება პრესის მიწოდების საქმეში მოსახლეობისა და საწარმო-დაწესებულებათა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ხშირად ასეც ხდება. ხელმოწერის ბარათებს უსწოროდ ადგენენ. არის სახლებიც, სადაც მოწყობილი არ არის საბონენტო ყუთები, ზოგჯერ გაკეთებული არა აქვთ მაჩვენებელი დაფები, რაც ადრესატის მიგნებას აძნელებს.

ამას წინათ გაზეთმა „ქუთაისმა“ საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა ხელისმომწერლებისათვის პრესის დროულად მიწოდების საკითხზე. წერილში მკითხველთა ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ არის ნაკლოვანებანი ჟურნალ-გაზეთების დატარების საქმეში. საუბნო კომიტეტები არ ზრუნავენ მათ უბნებში საფოსტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

— ვარ პენსიონერი. ერთი წლით გამოწერილი მაქვს გაზეთები „კომუნისტი“ და „სოფლის ცხოვრება“. ყოველი ნომრის მოსვლას მოუთმენლად ველოდები. მაგრამ ერთ თვეში გაზეთების მხოლოდ ცხრა ნომერი მივიღე. გაზეთის მოტანა ნუთუ ფოსტალიონის განწყობილებაზე უნდა იყოს დამოკიდებული? — ტყიბულიდან რედაქციას სწერს ლ. სანებლიძე.

— ამ წერილს გწერთ 66 წლის დიასახლისი დ. გიორგობიანი, მცხოვრები თბილისში 26 კომისრის რაიონში (მარტყოფის ქუჩა 22). როგორც ყოველთვის, წელსაც გამოვიწერე გაზეთი „კომუნისტი“, მაგრამ ერთი თვე გავიდა და არ მიმიღია არცერთი ნომერი. ამის თაობაზე შევჩივლე მესამე საფოსტო განყოფილებას, იქიდან 56-ე განყოფილებაში გამგზავნეს, შემდეგ მისვლა მომიხდა რაიონისა და ქალაქის სხვა განყოფილებებში. რატომ? გაზეთი ხომ დროულად გამოვიწერე.

როცა შემოწმდა მკითხველის ეს განცხადება, გამოირკვა, რომ საფოსტო განყოფილებამ გიორგობიანის სახელზე გამოწერილი ქვითარი „სოიუზპეჩატის“ საქალაქო განყოფილებიდან მხოლოდ თვის 29 რიცხვში მიიღო.

მსგავსი ფაქტები სხვაგანაც არის. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ხელმოწერაზე, პრესის გავრცელებაზე.

პრესის და სხვა საფოსტო გზავნილობათა დროულად მიწოდებას ხელს უშლის ის, რომ ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს ორგანოები საკმაოდ არ ზრუნავენ საფოსტო სამსახური აღჭურვონ სპეციალური ტრანსპორტით, შეავსონ კადრებით, კიდევ უფრო განავითარონ გაზეთებისა და ჟურნალების საცალო ვაჭრობა.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ დაირღვეს ჟურნალ-გაზეთების მიტანის ვადები, აღმოვფხვრათ ყველა ნაკლოვანებანი გაზეთების ხელმომწერლებამდე დროულად მიტანის და საცალო ვაჭრობის დიდმნიშვნელოვან საქმეში.

მოძმე ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან თავიანთი სახელოვანი ისტორიის დიდი და ნათელი თარიღის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის. ამ ისტორიული თარიღისათვის მზადების პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთების თავის დროზე მიტანას მკითხველებთან, გაზეთებისა, რომლებიც პარტიის საიმედო იარაღია, მისი ერთგული თანაშემწეა კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის დელეგაცია დამასკოში ჩავიდა

სირიის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის მიწვევით 5 აპრილს დამასკოში გაფრინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი (დელეგაციის მეთაური) და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგე ვ. პ. რუმიანცევი.

დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის დაარსების 25 წლისთავის ზეიმში.

იმავე დღეს დელეგაცია დამასკოში ჩავიდა. (საქდესი).

დარბაზობა ა. ნ. კოსიგინთან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 5 აპრილს კრემლში მიიღო საფრანგეთის სახელმწიფო კომპანია „რენოს“ პრეზიდენტი პიერ დრეიფუსი.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საქმიანი თანამშრომლობის საკითხებზე, მათ შორის შესაბამის საბჭოთა ორგანიზაციებსა და „რენოს“ კომპანიას შორის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური ურთიერთობების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ზეიმზე ერაყში

ბაღდადი, 6 აპრილი. (საქდესი). დღეს ბაღდადში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ზეიმში, რომელიც ეძღვნება ჩრდილოეთ რუმეილის პირველი დიდი ეროვნული ნავთობის სარეწის საექსპლოატაციოდ გადაცემას. ეს სარეწი საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობით აშენდა.

ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტში საპატიო საბჭოთა სტუმარს დახვდნენ ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი, ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ეროვნული და რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრები, მთავრობის წევრები, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიისა და ერაყის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრები, ქვეყნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ა. ნ. კოსიგინმა და სადამ ჰუსეინმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური ა. ნ. კოსიგინი სადამ ჰუსეინის თანხლებით გაემგზავრა მისთვის გამოყოფილი რეზიდენციისაკენ.

გზაზე საბჭოთა სტუმრებს გულთბილად მიესალმებოდნენ ერაყის დედაქალაქის მცხოვრებნი, რომლებიც გამოვიდნენ ქუჩებში ყვავილებით და ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის აღსანიშნავი ლოზუნგებით.

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო ჟან შერიუ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 6 აპრილს კრემლში მიიღო პარიზის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე ჟან შერიუ. (საქდესი).

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამგზავრება

5 აპრილს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სინგჰი.

ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ შერემეტიევოს აეროდრომზე სვარან სინგჰი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქდესი).

ეს დღეები სოფლად

თესავენ სიმინდს

ყვარელი. (საქ. კორ.). რაიონში დღითიდღე ძლიერდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპი. 120-ზე მეტი ტრაქტორია ამჟამად გასული რაიონის ველ-მინდვრებში. მექანიზატორები აფხვიერებენ მზრალ ნახნავს, ასწორებენ ნიადაგს, შეაქვთ მინერალური სასუქები.

რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ითესება საკვები ჭარხალი, შვრია, ბოსტნეული. საგაზაფხულო ხვნა-თესვას ერთ-ერთი პირველი შეუდგა ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობა, მხვნელ-მთესველებმა პირველ რიგში საკვები ჭარხალი და ბოსტნეული დათესეს, მოამზადეს სათესლე სიმინდიც.

ჯერ ნიადაგი საკმაოდ არ არის გამთბარი, სიმინდის თესვა ნაადრევია, უთხრეს ახალსოფლელ მხვნელ-მთესველებს. მართლაც, რაიონის ველ-მინდვრებში სიმინდის დასათესად ნიადაგი ჯერ საკმაოდ არ იყო გამთბარი, მაგრამ მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის სპეციალისტებმა შეამოწმეს „აფნისპირა“ ნაკვეთები. ეს ადგილი სამი მხრიდან შემოფარგლულია ტყიანი გორებით და მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. აღმოჩნდა, რომ სხვა მინდვრებთან შედარებით ნიადაგი აქ უკეთ იყო გამთბარი. სწორედ ამ ადგილებში შეუდგნენ ახალსოფლელები სიმინდის ნათესის პირველი მწკრივების გატარებას, სადაც „აჯამეთის თეთრს“ აბარებენ კარგად დამუშავებულ მზრალ ხნულს. აქ სიმინდი უკვე 10 ჰექტარზე დაითესა და აქედან თესვის ფრონტი მეზობელ ნახნავებში გადაინაცვლებს.

სოფელ შილდის კოლმეურნეობამ ჭარხალი 35 ჰექტარზე დათესა, შვრია — 85 ჰექტარზე და ბოსტნეული — 7 ჰექტარზე. კოლმეურნეობის მშრომელებს სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის დიდი გამოცდილება აქვთ. სსრ კავშირის შექმნის საიუბილეო წელს განსაკუთრებული მოწადინებით შეუდგნენ შრომას შილდელები. 430 ჰექტარზე უნდა დათესონ ეს კულტურა, რისთვისაც დროულად დაიჭირეს თადარიგი, კარგ დროს მოხნეს მზრალი და ახლა ნიადაგის გაფხვიერება-მოსწორებას აწარმოებენ. რამდენიმე დღეც და შილდელები სიმინდის თესვას შეუდგებიან. 320 ჰექტარი სარწყავ ადგილებშია გამოყოფილი, საიდანაც საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერ მოსავალს მიიღებენ.

საგაზაფხულო თესვა ორგანიზებულად დაიწყო ახალსოფლის ლენინის სახელობის, გავაზის ენგელსის სახელობის, ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობებში, ყვარლის „ქინძმარაულის“, ენისლისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში. რაიონში სულ დათესილია: საკვები ჭარხალი 135 ჰექტარზე, შვრია 329 ჰექტარზე და ბოსტნეული 65 ჰექტარზე. უახლოეს დღეებში ფართოდ გაჩაღდება სიმინდის თესვაც.

ყვარლელმა მესიმინდეებმა კარგად იციან რწყვის სიკეთე. ამიტომ სარწყავი წყლის რესურსების (ხელოვნური წყალსაცავები, მთის ნაკადულები) მაქსიმალურად გამოყენებისათვის აქედანვე აწარმოებენ სარწყავი ქსელის გაყვანა-შეკეთებას.

ორიოდე სიტყვა ტექნიკის შესახებ. მინდვრის სამუშაოებისათვის სადღეისოდ რაიონში ტრაქტორები და მისაბმელი იარაღ-მანქანები საკმაო რაოდენობით აქვთ. ბევრი ტრაქტორია გამიზნული ვენახებში სამუშაოდ, მაგრამ აკლიათ ვენახის სახნავი ტრაქტორები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ვენახის სახნავად გათვალისწინებული „ტ-54“-ვ“ მარკის 7 ტრაქტორი უქმად დგას სავალი მექანიზმების უქონლობის გამო. მალე ვენახებში მთელი ძალებით იქნება საჭირო მუშაობის გაშლა. თუ დროულად არ მიიღეს ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები, ზოგ მეურნეობაში სამუშაოები შეფერხდება.

ა. თვალიაშვილი.

უკვე დაამთავრეს

ქარელი. (საქ. კორ.). რაიონის მხვნელ-მთესველებმა სოცშეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად წარმატებას მიაღწიეს საგაზაფხულო კულტურების თესვის საქმეში. მათ თესვისათვის წინდაწინ მოიმარაგეს საჭირო თესლი, გამზადებული ჰქონდათ ტექნიკა, ნიადაგი აგროწესების დაცვით დაამუშავეს.

ქარელელებმა 4 აპრილისათვის დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების თესვა. საგაზაფხულოდ დაითესა 2.740 ჰექტარი. აქედან ქერი 213 ჰექტარზე, შვრია 99 ჰექტარზე, ბარდა 29 ჰექტარზე, შაქრის ჭარხალი 1.082 ჰექტარზე. დამთავრდა აგრეთვე ბოსტნეულის თესვა.

საგაზაფხულო თესვა აგროვადებში და მაღალხარისხოვნად აწარმოეს რუისის, დედოფლის, ფცის, ბრეძის საბჭოთა მეურნეობებმა, ზემო და ქვემო ხვედურეთის, მოხისის, ღვანის, ქარელის კოლმეურნეობებმა.

მინდვრად, ვენახებში...

სიღნაღი. (საქ. კორ.). რაიონში საგაზაფხულო სამუშაოები მემინდვრეებმა ჯეჯილების გამოკვებით დაიწყეს და ეს სამუშაო უკვე 13.000 ჰექტარზე შეასრულეს. ნათესის თითქმის მთელ ფართობზე მინერალური სასუქები თავის დროზე შეიტანეს ტიბაანის, ჯუგაანის, ძველი ანაგის, ბოდბისხევის კოლმეურნეობებმა და წნორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქი კომპლექსის მექანიზატორებმა და ავიატორებმა.

რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვენახების სხვლა. ეს სამუშაო წელს რთული და საპასუხისმგებლოა იმიტომ, რომ ვაზის ერთი ნაწილი მოყინულია და თითოეულ ძირს სჭირდება დაკვირვება, ინდივიდუალური მიდგომა. 3.188 ჰექტარზე ეს სამუშაო დასასრულს უახლოვდება. ვენახებში ახლა მთავარი სამუშაოებია ხვნა, ბოძებისა და ამოსაყენებლის რემონტი, მეჩხერი ადგილების შევსება. ნიადაგში შეტანილია 1.300 ტონა ფოსფოროვანი და აზოტოვანი სასუქი, გადაწვენილია 55.000 ძირი ვაზი. ვენახის სამუშაოებში დაწინაურდნენ ტიბაანის, ბოდბის კალინინის და ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს შვრიის თესვის გეგმა. ნაცვლად 600-ისა დათესილია 700 ჰექტარი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მზესუმზირას თესვა. ეს კულტურა წელს 3.268 ჰექტარზე დაითესება. ათას ჰექტარზე უკვე დათესილია.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის ტემპი დღითიდღე ძლიერდება. საქმეს სათავეში კომუნისტები უდგანან. ამ დღეებში კი ყველანი მინდვრად გავიდნენ. სიღნაღელმა მხვნელ-მთესველებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარება ერთ-ერთი მთავარი პირობაა იმ დიდი ვალდებულების განაღდებისა, რომელიც მათ მიმდინარე საიუბილეო წელს იკისრეს.

სურათზე: მილდასამზადებელ დგან „900“-ის უფროსი ოპერატორი სერგო გვანცელაძე (მარჯვნივ) და დნეპროძერჟინსკის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ოსტატი ვლადიმერ დიკი დგან „900“-ის მართვის პულტთან.

გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად

მეგობრობის 50 ზოდი

სსრკ 50

რუსთავში ხელი მოაწერეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და დნეპროძერჟინსკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 18 ათასი ტონა ნაგლინი, აითვისონ ახალი პროფილის პროდუქცია, გააუმჯობესონ მისი ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება.

ძველი და მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ ქართველ და უკრაინელ მეტალურგებს. მრავალი წლის წინათ უკრაინის, კერძოდ დნეპროძერჟინსკის შავი მეტალურგიის საწარმოებში ქართველმა ჭაბუკებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს ემუშავათ რუსთავში მშენებარე მეტალურგიულ ქარხანაში, შეისწავლეს კოქსქიმიკოსთა, მებრძმედეთა, მეფოლადეთა პროფესიები. როცა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მწყობრში ჩადგა პირველი ომის შემდგომი საბჭოური ბლუმინგი და ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილი მილდამამზადებელი დგანი „900“, აქ სახწავლებლად ჩამოვიდა მომავალ უკრაინელ მგლინავთა დიდი ჯგუფი, რომელთა შორის იყო 20 დნეპროძერჟინსკელი ჭაბუკი. ხუთი წლის შემდეგ, 1956 წელს, რუსთავისნაირი დგანი „900“ გადასცეს საექსპლოატაციოდ დნეპროძერჟინსკის ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაშიც. ქართველ მგლინავთა მოწაფეებმა სრულყოფილად აითვისეს ახალ დგანზე მუშაობა, ახლა კი მასწავლებლებს წინადადება მისცეს გააჩაღონ შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

უკრაინელ მეტალურგთა დელეგაცია მიიღო პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, ეწვივნენ მის საწარმოებს, მშენებლობებს, კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს.

მეტალურგიული ქარხნის საგლინავ საამქროში მოეწყო მეგობრობის ლითონის გლინვა. უფროსმა ოპერატორებმა სერგო გვენცაძემ და მისმა აღზრდილმა, დნეპროძერჟინსკელ მეტალურგთა წარმომადგენელმა, ლენინის ორდენოსანმა ვლადიმერ ფიკმა ერთად გაგლინეს 50 სიმბოლური გავარვარებული ზოდი და ამასთან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 150 ტონა პროდუქცია.

საღამოს მეგობრობის მიტინგზე გამოვიდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს პარტიული ბიუროს მდივანი ა. რეხვიაშვილი, ამავე საამქროს უფროსი ბ. ზასლავსკი, „900“ დგანის უფროსი რ. რიჟამაძე, დნეპროძერჟინსკის მეტალურგიული ქარხნის ახალი საგლინავი საამქროს პროფკომის თავმჯდომარე, პ. ლავრინენკო, ამავე საამქროს პარტიული ბიუროს მდივანი ა. მორია, საამქროს უფროსი ვ. გერასიმოვი, „900“ დგანის უფროსი ა. ტერტიჩკო, უფროსი ოპერატორი ვ. ფიკი და სხვები.

უკრაინელი მეტალურგები კვლავ ეცნობიან საწარმოს, მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ ქართველ კოლეგებს. (საქინფორმი).

გაუფრთხილდით გულს!

7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა

პარასკევს, 7 აპრილს, ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა. იგი დააწესა 1949 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო მედიცინის დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისადმი, უფრო ფართოდ გაევრცელებინა მოსახლეობაში მეცნიერული და სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნა. წელს ჯანმრთელობის ტრადიციული დღე იმართება ლოზუნგით „ჯანსაღი გული ჯანმრთელობის საწინდარია“.

საქინფორმის კორესპონდენტმა ი. გოლდმანმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ვ. ქავთარაძეს სთხოვა აზრი გაეზიარებინა გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

ეს № 1 პრობლემაა, — თქვა პროფესორმა ვ. ქავთარაძემ, — რომელიც მსოფლიოს მეცნიერ მედიკოსთა განუწყვეტელ ყურადღებას იპყრობს. გულისა და სისხლძარღვების დაავადების გამო იღუპება მილიონობით ადამიანი. ბრძოლა ამ მძიმე სენთან, მისი ეპიდემიოლოგიის შესწავლა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ახლა სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ გულის დაავადებათა ეპიდემიაზე. ამიტომ, ისე როგორც ყოველი ეპიდემიის დროს, კარდიოლოგები ეძებენ დაავადების სპეციფიკურ მიზეზს. საქართველოში ინტენსიურად მუშაობენ არა მარტო გულის დაავადებათა გამოვლინებისათვის, არამედ ამ დაავადებისადმი მიდრეკილების დადგენისთვისაც. მაგალითად, ჩვენი ინსტიტუტი სწავლობს არტერიული ჰიპერტონიის გავრცელებას, თერაპიის ინსტიტუტი — გულის იშემიურ დაავადებას.

ექიმთა ამოცანა ის არის, რომ არა მარტო დროულად გამოავლინონ ავადმყოფობა, არამედ მთავარია, გასწიონ ფართო გამაჯანსაღებელი მუშაობა, რომელიც გულისხმობს ავადმყოფის შემდგომ ღრმა გამოკვლევას, ავადმყოფობისადმი მიდრეკილების მიზეზების დადგენას და მთელ რიგ პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღონისძიებებს. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და ეფექტიანია ეს მუშაობა დიდ საწარმოებში. იქ, სადაც სპეციალისტებმა უკვე გაშალეს საქმიანობა, შეიმჩნევა დაავადების მკვეთრი შემცირება. ამას აღწევენ არა მარტო მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნის მეოხებით, არამედ შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმის დაწესებითაც. ზოგჯერ კი ექიმი პაციენტს ურჩევს პროფესიის შეცვლას.

საინტერესო კვლევა წარმოებს რესპუბლიკაში გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა დიაგნოსტიკის ღრმა შესწავლისათვის. ახლა ექიმები შეიარაღებული არიან ელექტროფიზიოლოგიური, რადიოსაინდიკაციო, ბიოქიმიური და ენდოკრინოლოგიური მეთოდებით გულის დაავადების დროს სხვადასხვა ორგანოს ფუნქციური მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს მეთოდები საშუალებას გვაძლევენ აღმოვაჩინოთ ნივთიერებანი, რომელთა ცვლის დარღვევა სიგნალს გვაძლევს მოახლოებული ავადმყოფობის შესახებ.

ჩვენს ინსტიტუტში პირველად საქართველოში შეიქმნა სამედიცინო ბიოფიზიკის ლაბორატორია, რომელიც კვლევას ეწევა სუბმოლეკულურ და მოლეკულურ დონეზე. კარდიოლოგები სწავლობენ მიოკარდის შემკუმშავ ცილებს. ამ სამუშაოთა პირველი შედეგები საშუალებას გვაძლევენ მნიშვნელოვნად განვსაზღვროთ გულის ფუნქციური მდგომარეობის დარღვევის მიზეზები. კარდიოლოგიის ინსტიტუტი ამ პრობლემას სწავლობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ხაზით, იკვლევს კუნთების, კერძოდ გულის კუნთების ბიოფიზიკას.

ამ ბოლო წლებში მედიცინამ დიდ წარმატებებს მიაღწია გულისა და სისხლძარღვების მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობაში. სპეციალისტები დარწმუნდნენ, მაგალითად, რომ ჰიპერტონია ფატალური ავადმყოფობა არ არის. თუ ავადმყოფს დროულად და სწორად ვუმკურნალებთ, მას შეუძლია დაძლიოს ეს სენი, დიდხანს იცოცხლოს და იმუშაოს. რესპუბლიკაში შექმნილია სპეციალური დაწესებულებანი მიოკარდის ინფარქტის სამკურნალოდ. სასწრაფო დახმარების სადგურში არის კარდიოლოგიური ბრიგადები, ზოგიერთ საავადმყოფოში შექმნილია ინფარქტის განყოფილება.

გაწეული მუშაობის შედეგები უკვე ჩანს. თუ წინათ საქართველოში ინფარქტის გამო იხოცებოდა დაავადებულთა თითქმის სამოცი პროცენტი, ახლა ეს ციფრი სამჯერ შემცირდა.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა გულის ქირურგია. სულ უფრო წარმატებით მიმდინარეობს გულის სხვადასხვა შეძენილი და თანდაყოლილი მანკის ქირურგიული მკურნალობა. საბჭოთა მედიცინამ დიდ წარმატებებს მიაღწია გულის მუშაობის სტიმულაციაში კანქვეშჩადგმული პორტატიული ელექტროსტიმულატორებით, ორიგინალური ხელსაწყოების შექმნაში, რომლებსაც შეუძლიათ ავადმყოფი გული ამუშაონ საჭირო სიხშირით, რითაც წესრიგდება სისხლის მიმოქცევა. შექმნილია აგრეთვე გარე ელექტროსტიმულატორების სხვადასხვა მოდელები, რომელთა გამოყენება ქირურგებს შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფებს ოპერაციის დროს მოულოდნელად გაუჩერდებათ გული. მათი გამოყენება შეუძლიათ აგრეთვე სასწრაფო დახმარების ექიმებს, რომლებიც საგანგებო გამოძახებით მიდიან ავადმყოფთან.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუტებთან და საავადმყოფოებთან შექმნილ რეანიმაციის სამსახურს. კერძოდ, კარდიოლოგიის ინსტიტუტში ბრძოლის სამსახური.

კარდიოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტებში შექმნილია გულისა და სისხლძარღვებით დაავადებული ავადმყოფების რეაბილიტაციის სამსახურები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, რომ ავადმყოფები დაუბრუნდნენ ჩვეულებრივ შრომითს საქმიანობას.

გულისა და სისხლძარღვების ძირითად დაავადებათა განვითარებაში მეცნიერებამ დაადგინა მთელი რიგი ეგრეთ წოდებული რისკ-ფაქტორები. მათ შორის არის გასუქება, ფიზიკური დატვირთვის ნაკლებობა, თამბაქოს წევა, ალკოჰოლის ჭარბი ხმარება, ზედმეტი ნერვული დაძაბულობა. თვითეული მათგანი ცალ-ცალკე, მითუმეტეს ყოველივე ეს ერთად, მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს მძიმე, ზოგჯერ კი საბედისწერო შედეგებს. მაგალითად, იმათ, ვინც თამბაქოს ეწევა, ავად გახდომის ერთიორად მეტი შანსი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც თამბაქოს არ ეწევა, ჰიპერტონია კი ამ შანსს ოთხჯერ ადიდებს. შეიძლება ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა. აქედან გამომდინარეობს უდავო ფაქტი: ადამიანი მეტწილად თვითონ განსაზღვრავს თავისი გულის მდგომარეობას. საჭიროა მხოლოდ დროზე ავიღოთ ხელი მავნე ჩვევებზე.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

ვუხელმძღვანელოთ შემოქმედებითად, კონკრეტულად

პარტიის რაიკომი და მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციები

გაზაფხული თავის უფლებებში შევიდა. ბუნება ყველგან გამარჯვებას ზეიმობს. ჩვენი რაიონის მშრომელები მასობრივად გავიდნენ მინდვრად და საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს.

გარდაბანი საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონია. შარშან ჩვენმა საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 56.399 ცენტნერი ხორცი, 150.816 ცენტნერი რძე, 51 მილიონი კვერცხი, 4.276 ცენტნერი მატყლი, 41.192 ტონა ბოსტნეული, ათასობით ტონა ხილი, კარტოფილი, ბაღჩეული, ყურძენი, მარცვალი და სხვ.

სოფლის მეურნეობის მშრომელებს არც სამრეწველო კოლექტივები ჩამორჩნენ. მათ გამოუშვეს 130 მილიონი მანეთის პროდუქცია, წარმატებით შეასრულეს წლიური გეგმები.

ყოველივე ეს მოპოვებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად.

რაიონში 252 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. აქედან 86 მცირერიცხოვანია. ისინი მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად წყვეტენ საერთო საქმის ბედს. ზოგიერთმა მცირერიცხოვანმა პარტიულმა ორგანიზაციამ ისე მოაწყო თავისი საქმიანობა, რომ მათი გამოცდილება უდავოდ ყურადღების ღირსია.

მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციები ძირითადად შექმნილნი არიან პატარა სამეურნეო კოლექტივებთან, დაწესებულებებთან, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების უბნებში, ფერმებში, ბრიგადებში, იქ, სადაც ბიუროებს არ ირჩევენ. მათი მოღვაწეობა მუდამ იდგა და დგას ყურადღების ცენტრში. რაიკომის ბიურო, მისი აპარატი ისე წარმართავენ თავიანთ მუშაობას, რომ რაც შეიძლება მეტი კონტროლი, შემოქმედებითი დახმარება აღმოუჩინონ მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებს.

„ყველაზე პატარა პარტიულ ორგანიზაციებშიც კი, თუ ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონით, ყველაფერს შევნიშნავთ, ყველაფერს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ბევრი რამ გავაკეთოთ, ბევრი ახალი შესაძლებლობა გამოვავლინოთ", — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, თბილისში 1971 წლის 14 მაისს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ეს სიტყვები საბრძოლო პროგრამად იქცა პარტიის რაიკომისა და მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციებისათვის.

რაიკომმა შეიმუშავა მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის კონკრეტული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ორჯერ სპეციალურად მოვიწვიეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი, რომლებზეც პრინციპული და საქმიანი ბჭა-ბაასი გაიშალა მცირერიცხოვანი ორგანიზაციების მუშაობის საკვანძო საკითხებზე. ამ სემინარებზე გარდა იმისა, რომ მათი მდივნებისათვის იკითხება მოხსენებები და ლექციები, აქვე ხდება მუშაობის გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარება.

ვფიქრობ კარგ შედეგს იძლევა რაიკომის ბიუროს სხდომებზე ცალკეული მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხების განხილვაც, რასაც ხშირად ვახდენთ, ეს ამაღლებს მათ პასუხისმგებლობას, უფრო შინაარსიანს ხდის მუშაობას.

ამას წინათ ბიუროს სხდომაზე საკითხის განხილვისას გაირკვა, რომ მრავალი მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად წარმართავს მუშაობას, მუდმივად ზრუნავს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს რკინაბეტონის კონსტრუქციების № 2 ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი დ. განუგრავა) კონკრეტულ ღონისძიებებს სახავს წარმოების რეზერვების ეფექტურად გამოყენებისათვის. კომუნისტები ფ. თურქიშვილი, ა. ადიკაშვილი, პ. მაზლიევი და სხვები ყოველივე ახლისა და პროგრესულის დანერგვის ინიციატორები არიან.

ასევე აქტიურად, შემოქმედებითად მუშაობენ „კავკაზელექტროქსელმშენის" № 90 მექანიზებული კოლონისა და „სოიუზინვენტარის" ექსპერიმენტული საამქროს პარტიული ორგანიზაციები (მდივნები ე. გოგუაძე და გ. კალანდარიშვილი).

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციაში საქმე კარგად იყოს. „საქსოფლტექნიკის" სართიჭალის განყოფილების, სამგორის გათხევადებული გაზის ძირეული ბაზისა და თელეთის ექსპერიმენტული ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებში (მდივნები ს. მუხიაური, ჯ. კოშორიძე, მ. დალელიშვილი) ნაკლებ ყურადღება ექცევა საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებას, დაბალია კომუნისტთა ავანგარდული როლი, მოიკოჭლებს იდეოლოგიური მუშაობა.

განიხილა რა ზემოთ ჩამოთვლილი მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი, პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსასწორებლად, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და კომუნისტთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ახლა ამ პარტიულ ორგანიზაციებში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, რადგან უკვე სერიოზული ნაბიჯები გადადგეს.

ცნობილია, რომ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შინაარსი და ეფექტურობა ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ უდგას სათავეში პარტიულ ორგანიზაციას, როგორია მისი მდივნის ჰორიზონტი, პარტიული მუშაობის ჩვევები, პრაქტიკული წრთობა.

უკანასკნელ წლებში რაიონში საშუალება შეიქმნა მდივნებად უმთავრესად წამოყენებული ყოფილიყვნენ უნარიანი, ენერგიული მუშაკები. მაგრამ, რომ იტყვიან, ასეთი მუშაკები ციდან არ ჩამოცვენილან. ისინი თანდათანობით და მტკიცედ სწავლობდნენ პარტიულ მუშაობას, იძენდნენ გამოცდილებას, ერკვეოდნენ და კვალიფიციურად წყვეტდნენ პარტორგანიზაციებისა და მეურნეობათა ცხოვრების მრავალფეროვან რთულ პრობლემებს.

შარშან სოფლის წყალსადენთა ექსპლოატაციის გარდაბნის ტერიტორიული მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციის მდივნად კომუნისტებმა აირჩიეს ზ. ზარნაძე, რომელიც პარტიული ორგანიზაციის სული და გული გახდა, ამ სიტყვის მთელი მნიშვნელობით. მისი არჩევის შემდეგ დიდად გაიზარდა კომუნისტების აქტივობა. ახლა წინა პერიოდისაგან განსხვავებით ყველა კომუნისტი კარგად ასრულებს პარტიულ დავალებას და პოლიტიკურ მუშაობაში მონაწილეობს. სამმართველოში რეგულარულად და საინტერესოდ ეწყობა საერთო კრებები და არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდება კომუნისტებთან შეუთანხმებლად, პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის მუშაობაში ეყრდნობა უპარტიო აქტივს. ეს კი მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციებისათვის ისევე საჭიროა, როგორც ადამიანისათვის ჰაერი. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ სწორედ ის ორგანიზაციები აღწევენ კარგ შედეგებს, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან უპარტიო აქტივთან, მათთან ერთად წყვეტენ მეურნეობის გაძღოლის რთულ საპრობლემო საკითხებს.

მუშაობის სანიმუშო მაგალითს იძლევა „საქსოფლტექნიკის" გარდაბნის განყოფილების პარტორგანიზაცია, რომელიც 10 კომუნისტს აერთიანებს.

ცხადია, ასკაციან კოლექტივში ათ კომუნისტს გაუჭირდებოდა დასახული ამოცანების შესრულება, რომ მას მჭიდრო კავშირი არ ჰქონდეს უპარტიო აქტივთან.

მართალია, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად ამ ბოლო ხანებში ირჩევენ განათლებულ, საქმეში ჩახედულ ადამიანებს, მაგრამ ეს გარემოება არ ხსნის პასუხისმგებლობას რაიკომს იზრუნოს მათი სწავლებისა და თეორიული წრთობისათვის. თითქმის ყველა მდივანი ჩაბმულია სწავლების ამა თუ იმ ფორმაში. ისინი სწავლობენ პარტიული აქტივის რაიონულ ორწლიან სკოლაში, პარტიული განათლების სხვადასხვა რგოლში, უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებში. მდივნების განათლება ასეთ სურათს იძლევა: 252 პარტორგანიზაციის მდივნიდან უმაღლესი განათლება აქვს 204-ს, უმაღლესდაუმთავრებელია 12, ხოლო 36 მდივანი საშუალო და არასრული საშუალო განათლებით არის.

მთავარი, რასაც, პარტიის რაიონული კომიტეტი აქცევს ყურადღებას, არის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სწორად დაგეგმვა. და ეს გასაგებიც არის: კარგად მოფიქრებული გეგმის უქონლად შეუძლებელია ორგანიზატორული მუშაობის წარმართვა. კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების ზრდა მოითხოვს პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, მეცნიერულ მიდგომას მუშაობის დაგეგმარებისადმი.

ამ დღეებში პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა სარწყავი სისტემის სამმართველოს, ცეკავშირის საქკოოპტრანსმომარაგების მთავარი სამმართველოს, ავტომექანიკური ქარხნის, საკავშირო ვეტსანიტარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს საყრდენი პუნქტისა და გამარჯვების მეფრინველეობის მშენებარე ფაბრიკის მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დაგეგმარების საკითხი.

გამოირკვა, რომ ამ ორგანიზაციებში გეგმების შედგენისას აქცენტი აიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პერიოდის მნიშვნელოვან დადგენილებებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დადგენილებას „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ", რომელიც ყველა პარტიული ორგანიზაციის მოქმედების საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს!

გამარჯვების მეფრინველეობის მშენებარე ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ო. კლდიაშვილი) მიმდინარე წლის მეორე კვარტალისათვის შეიმუშავა მოფიქრებული გეგმა, რომელიც ოთხი განყოფილებისაგან შედგება: ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა; ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის დაწესება; საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და იდეოლოგიური მუშაობა. ამ დღეებში პარტიულმა ორგანიზაციამ გადახედა თავის სამუშაო გეგმას და თბილისის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე მიღებული დადგენილების მიხედვით მასში საყურადღებო შესწორებები შეიტანა. გეგმაში დამატებით გაითვალისწინეს სსრ კავშირის 50 წლისთავისათვის მზადების ზოგიერთი ღონისძიებაც.

მცირერიცხოვანი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი უკეთ დახმარებისა და ხელმძღვანელობის მიზნით რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას აქვს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებების ყოველთვიურად მოწყობის გრაფიკი. ამ კრებების მომზადებასა და მოწყობაში დახმარების აღმოსაჩენად რაიკომი ორგანიზაციებში გზავნის თავის წევრებს, აქტივს, რაიკომის აპარატის მუშაკებს. ისინი ადგილებზე ეხმარებიან კომუნისტებს ამა თუ იმ საკითხის ღრმად შესწავლაში, აძლევენ რჩევა-დარიგებას მიღებულ დადგენილებათა შესრულების კონტროლსა და სხვა საარსებო საკითხებზე.

იმ მიზნით, რომ რაიკომს სრული წარმოდგენა ჰქონდეს მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, ამ რამდენიმე ხნის წინათ მან მითითება მისცა ამ ორგანიზაციების მდივნებს სისტემატურად წარმოადგინონ ინფორმაციები გაწეული მუშაობის შესახებ. ასეთ რამეს ადრე მხოლოდ მსხვილი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ვავალებდით. ამასთანავე მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს დაევალათ შემოიღონ სპეციალური ჟურნალები, რომლებშიც აღრიცხავენ კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებს, გაწეული პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ძირითად მომენტებს.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა უდიდესი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი რაიონის მშრომელებს.

ამ ამოცანების განხორციელება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ შემოქმედებითად, კონკრეტულად ვუხელმძღვანელებთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ავამაღლებთ მათს ბრძოლისუნარიანობასა და კომუნისტთა პასუხისმგებლობას, გადაჭრით გავაუმჯობესებთ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას.

ა. ბექაური,
საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი.

ეს გაკეთდება მეცხრე ხუთწლედში

სოფლის მშენებლობა დღეს და ხვალ

ი. ხარატიშვილი,
საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი

სოფლად მშენებლობის შემდგომი განვითარების მიზნით ექვსი წლის წინათ მთელ რიგ რესპუბლიკებში ჩამოყალიბდა სასოფლო მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტროები. ამავე პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიქმნა საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და მისი შესაბამისი სამინისტროების შექმნა მოკავშირე რესპუბლიკებში უკვე იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან სსრ კავშირში სასოფლო მშენებლობა წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს, მოწინავე ტექნიკითა და კვალიფიციური კადრებით აღჭურვილს, რომელიც სოფლად მშენებლობას ინდუსტრიული წესით აწარმოებს.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მუშაობა 1966 წლიდან, მერვე ხუთწლედის პირველი წლიდან დაიწყო. ამ დროიდან დაწყებული ყოველწლიურად სამინისტრო სულ უფრო მეტ საიჯარო სამუშაოებს ასრულებს. თუ პირველ, 1966 წელს სამინისტრომ შეასრულა 21,3 მილიონი მანეთის სამუშაოები, 1970 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება 43,8 მილიონი მანეთით განისაზღვრებოდა, ხოლო გასულ წელს შესრულდა 57,8 მილიონი მანეთის საიჯარო სამუშაოები.

ჩატარდა სათანადო ღონისძიებანი სამინისტროს სტრუქტურის სრულყოფისათვის. საიჯარო სამუშაოების შესრულების საქმეში იგი შეეფარდება იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე, მეცხრე ხუთწლიანი გეგმით. ამჟამად სამინისტროს სისტემაში ექვსი სამშენებლო ტრესტია. ისინი მდებარეობენ თბილისში, სამტრედიაში, ცხაკაიაში, გორში, გურჯაანსა და მარნეულში. ელექტრო-სამონტაჟო, სანტექნიკური სამუშაოებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობათა მონტაჟისათვის ჩამოყალიბებულია სპეციალური ტრესტი „საქსოფლმონტაჟსპეცმშენი". ამ ტრესტის ჩამოყალიბებამ დიდად შეუწყო ხელი სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს სუბსაიჯარო სამუშაოების შესრულებაში.

სამინისტროს ტრესტები აერთიანებენ სამოც მოძრავ-მექანიზებულ კოლონასა და სპეცმექანიზებულ კოლონებს, რომლებიც ადგილზე, სოფლად აწარმოებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. გარდა ამისა, სამინისტრო თერთმეტ სამრეწველო ორგანიზაციას აერთიანებს ტრესტი „საქსოფლმშენინდუსტრია", რომელიც ძირითადად ნაკეთობებითა და კონსტრუქციებით ამარაგებს სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს.

განვლილ პერიოდში სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია სასოფლო მშენებლობაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ინდუსტრიული წესით მუშაობის წარმოებისათვის.

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის მიერ დამტკიცებული დირექტივების საფუძველზე დიდი ამოცანებია დასახული მეცხრე ხუთწლედში. რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, დაიხარჯება ორ მილიარდამდე მანეთი, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე — 900 მილიონი მანეთი.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რომელიც სოფლად მშენებლობის ძირითადი მოიჯარადრე ორგანიზაციაა, მეცხრე ხუთწლედში, უნდა შეასრულოს 400 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რაც 2,5-ჯერ აღემატება მერვე ხუთწლედში შესრულებულ სამუშაოებს. ამასთან ერთად სამინისტროს საწარმოებში სასაქონლო პროდუქციის წარმოება გასულ ხუთწლედთან შედარებით გაიზრდება 34,5 მილიონი მანეთიდან 70 მილიონ მანეთამდე. თუ მერვე ხუთწლედში სამინისტროს საკუთარი ტექნიკური ბაზების მშენებლობაზე დახარჯული იყო 21 მილიონი მანეთი, მეცხრე ხუთწლედში უნდა დაიხარჯოს 54 მილიონი მანეთი.

ახალ ხუთწლედში სამინისტრომ მუშა-მოსამსახურეთათვის უნდა ააშენოს 90 ათასი კვადრატული მეტრი საკუთარი საერთო საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 21 ათასი კვადრატული მეტრისა, რაც აშენდა მერვე ხუთწლედში.

სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულება — ერთი წლით ადრე დამთავრებულიყო კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა, პირნათლად იქნა შესრულებული. ეს ფაბრიკა წლიურად ორი მილიონი ბროილერის სიმძლავრისაა. გარდა ამისა დამთავრდა სხვა მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა, სადაც 99 ათასი კვერცხმდებელი ქათამი დაეტევა. ჩვენმა მშენებლებმა ააშენეს საერთო განათლების სკოლები 7.443 მოსწავლისათვის.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ სამინისტროს ორგანიზაციებს თავიანთ საქმიანობაში აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრისათვის სამინისტროს მთელი კოლექტივის ყოველდღიური შეუნელებელი ზრუნვაა საჭირო.

ჩვენმა სამინისტრომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საიჯარო სამუშაოების გასული წლის გეგმა მხოლოდ 79,2 პროცენტით შეასრულა. თავის დროზე საექსპლოატაციოდ ვერ გადავეცით სათბურები, ასევე არ შესრულდა საბინაო მშენებლობის გეგმა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ობიექტების მშენებლობა ძალზე გაჭიანურდა, მშენებლობის ხარისხი მთელ რიგ ობიექტებზე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. სამინისტრომ შარშანდელი წლის საქმიანობის შედეგად ვერ უზრუნველყო მოგების გეგმის შესრულება და იგი მხოლოდ 50,7 პროცენტით განისაზღვრება, თუმცა 1970 წელთან შედარებით იგი საგრძნობლად მომატებულია. ჯერ კიდევ დაბალია სამშენებლო მანქანებისა და ტრანსპორტის გამოყენების დონე.

დიდი ამოცანების წინაშეა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივი მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს. წელს სამინისტროს საიჯარო სამუშაოების გეგმა 68,8 მილიონი მანეთით განისაზღვრება და იგი 1971 წლის გეგმასთან შედარებით გადიდებულია 122 პროცენტით. იმასთან დაკავშირებით, რომ 1972 წლის საიჯარო გეგმა გასულ წელთან შედარებით 12,5 მილიონი მანეთით გადიდდა, სამინისტრომ საჭიროდ ჩასთვალა შეექმნა მეექვსე სამშენებლო ტრესტი. ასეთი ტრესტი დაარსდა მარნეულში. ახლად შექმნილ ტრესტს დავალებული აქვს სამშენებლო სამუშაოების წარმოება მარნეულის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისისა და წალკის რაიონებში. ამასთან ერთად მიმდინარე ხუთწლედის გაზრდილი პროგრამის შესაბამისად საჭირო გახდა ზოგიერთი ახალი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების დაარსება, ზოგან კი სტრუქტურული ცვლილებების შეტანა.

მეცხრე ხუთწლედში, გარდა კოდის ფაბრიკისა, რომელიც ამას წინათ ამუშავდა, უნდა აშენდეს მეფრინველეობის ახალი ფაბრიკები, ესენია: გამარჯვებაში ოთხი მილიონი ქათმისათვის, ლანჩხუთში 2 მილიონი ქათმისათვის და საინდოურე ნორიოში 50 ათასი ინდოურისათვის. ამასთან დიდი ყურადღება ექცევა კვერცხის წარმოების გადიდებას. ამისათვის ახალ ხუთწლედში აშენდება მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებიც ძირითადად კვერცხს აწარმოებენ. ესენია — გორის (დამთავრდა), ოჩამჩირის, ზუგდიდის, ცხინვალისა და შირაქისა. გათვალისწინებულია აგრეთვე დაწყებული ფაბრიკების მშენებლობის დამთავრება ნორიოში, თბილისში, გომში, ბათუმში, წყალტუბოში, გაგრასა და საგარეჯოში. ამ ფაბრიკების მშენებლობის დამთავრება საშუალებას მოგვცემს ხუთწლედის ბოლოსათვის ვაწარმოოთ 500 მილიონი ცალი კვერცხი და 20 ათასი ტონა ქათმის ხორცი, რაც 3,1-ჯერ მეტია, ვიდრე 1970 წელს იყო წარმოებული. გარდა ამისა, მეფრინველეობის ობიექტები აშენდება აგრეთვე კოლმეურნეობებში.

ახალ ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცევა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კომპლექსების მშენებლობას. მიმდინარე ხუთწლედში აშენდება მეცხოველეობის სახელმწიფო სამრეწველო კომპლექსები გიორგიწმინდაში, ჯანდარაში, თელეთში, სართიჭალაში, მარტყოფში, საგარეჯოში და ქარელის რაიონის სოფელ ფცაში. ეს კომპლექსები მოსახლეობას წელიწადში დამატებით 10 ათას ტონა ხორცს და 15 ათას ტონა რძეს მისცემენ. ამ კომპლექსებს გარდა აშენდება საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსები წლიურად 7,7 ათასი ტონა ხორცისა და 22 ათასი ტონა რძის საწარმოებლად.

ამ საპატიო დავალების შესრულებისათვის თავის მხრივ საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ დაამუშავა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს მიმდინარე ხუთწლედში. ამ ღონისძიებებში პირველ და ძირითად საკითხად შრომის ნაყოფიერების გადიდება ითვლება. მერვე ხუთწლედის ბოლო 1970 წელს სამინისტროს სისტემაში დასაქმებული იყო 10.230 მუშა. როგორც ვთქვით, 1975 წელს საიჯარო სამუშაოების მოცულობა 2,5-ჯერ გადიდდება. მუშახელის რაოდენობა 25.000 კაცამდე უნდა გადიდდეს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ამჟამად სასოფლო მშენებლობაში მუშახელის ნაკლებობას განვიცდით და ამ რაოდენობის მუშახელის შეგროვება ძნელია. ამიტომ სამინისტრომ 1970 წელთან შედარებით მეცხრე ხუთწლედში გაითვალისწინა შრომის ნაყოფიერების 41 პროცენტით გადიდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1975 წელს 25.000 მუშის ნაცვლად უნდა გვყავდეს 17.000 კაცი. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომატევადი სამუშაოების მაქსიმალურ მექანიზაციას და მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას. გარდა ამისა, მშენებლობაში უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ ასაწყობი ელემენტები და მსუბუქი ეფექტური მასალები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობის საწარმოო დანიშნულების ობიექტები, როგორიც არის მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფაბრიკების შენობები და სხვა დამხმარე ნაგებობანი, რკინაბეტონის მძიმე კონსტრუქციებით შენდება, რის შედეგადაც მშენებლობა ძვირდება და იხარჯება დიდძალი მატერიალური, შრომითი რესურსები და სატრანსპორტო საშუალებანი.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებისა და „სოფლის მეურნეობის დაპროექტების და მშენებლობის გაუმჯობესებისა და სასოფლო მშენებლობის ორგანიზაციების საწარმოო ბაზების განმტკიცების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გასული წლის აგვისტოს დადგენილების შესრულებისათვის სამინისტრომ მიმდინარე ხუთწლედში გაითვალისწინა მთელი რიგი ღონისძიებანი. დიდი ყურადღება მიექცევა იმას, რომ მთლიანი ასაწყობი კონსტრუქციებით მშენებლობის მოცულობა ხუთწლედის ბოლოს გადიდდეს 31 პროცენტით.

როგორც ვთქვით, სოფლად საწარმოო დანიშნულების ობიექტებისათვის ნაცვლად რკინაბეტონის მძიმე კონსტრუქციებისა გამოვიყენებთ მსუბუქ ეფექტურ მასალებს. მეფრინველეობის ფაბრიკებისა და მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობაზე მიმდინარე წლიდან აგურის კედლები, რკინაბეტონის გადასახურავი ფილები და კომპლექსური ფილები შეიცვლება ბრტყელი, გაძლიერებული სისქის აზბოცემენტის დათბუნებული ფურცლებით, ასეთი ფილები გამოიყენება გადახურვებში. ასეთი კონსტრუქციებით საწარმოო დანიშნულების შენობების აგება, საშუალებას გვაძლევს რკინაბეტონის შიგა კოლონების ორი რიგი აღარ ავაშენოთ, რითაც შენობის სასარგებლო ფართობი საგრძნობლად მოიმატებს. გარდა ამისა, შენობის წონა შემცირდება ორჯერ და ამდენჯერვე შემცირდება სატრანსპორტო ხარჯები. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას სამშენებლო მოედანზე, როგორც ფაქტიური დანახარჯიდან ჩანს, იგი ერთიორად და კიდევ მეტად მატულობს. ამასთან ერთად შენობის ღირებულება მცირდება 20-25 პროცენტით.

სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მიმდინარე ხუთწლედში მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით უნდა ააშენოს 400-500 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი.

სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს დიდი რაოდენობით ესაჭიროება მსუბუქი შემავსებლები თბოიზოლაციის მოწყობისათვის. საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მშენებლობის მოთხოვნის მიხედვით რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ აწარმოოს გაძლიერებული სისქის ბრტყელი აზბოცემენტის ფურცლები და საიზოლაციო მსუბუქი ფილები.

ლითონის ხარჯის შემცირების მიზნით წინასწარდაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების ხვედრითმა წონამ ხუთწლედის ბოლო წლისათვის 30 პროცენტს უნდა მიაღწიოს. ნაცვლად ლენტური საძირკვლებისა გამოყენებული იქნება რკინაბეტონის ხიმინჯები. ამას განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში გამოვიყენებთ, რაც შეამცირებს მიწის შრომატევად სამუშაოებს. სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების გადახურვა რთული და შრომატევადია. ბრტყელი სახურავები და სამ-ოთხ ფენიანი რუბეროიდის ფენილები შეიცვლება შიფერის ფურცლებით, რაც არა მარტო გაამარტივებს და გააიაფებს მშენებლობას, არამედ საგრძნობლად გააუმჯობესებს მის ხარისხს.

მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროგრესული მეთოდით განაღდების საქმეში, აგრეთვე მთელი რიგი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში დამკვეთი ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ სამშენებლო ორგანიზაციებს. ეს კი არ ხდება იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში დამკვეთები სამშენებლო საქმის სპეციალისტები არ არიან. გარდა ამისა, ადგილი აქვს კაპიტალური დაბანდებების დაწვრილმანებას, რაც ძალიან ართულებს მშენებლობას და აძვირებს მას. ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ სასოფლო მშენებლობაში ჩამოყალიბდეს დამკვეთის ერთიანი სამსახური.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს და ხუთწლედის მომდევნო წლებში სამინისტრომ ახალი ეფექტური მასალების გამოყენებით უნდა აწარმოოს დიდი რაოდენობით სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობა, დღემდე არა გვაქვს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ნაგებობების სრულყოფილი ტიპური პროექტები, სადაც გათვალისწინებული იქნება ახალი, მსუბუქი კონსტრუქციები და რესპუბლიკის დაბალი და მთიანი ზონების პირობები.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის მუშაკებს, მშენებლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს და კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ ოთხნახევარ წელიწადში, ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დაგეგმილ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის დონეს კი მიაღწიონ 1974 წელს.

მიმდინარე ხუთწლედში მშენებლობასა და მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება შესრულდება ოთხნახევარ წელიწადში. გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც 4 მილიონ ბროილერის ტევადობისაა, დამთავრდება ერთი წლით ადრე — 1974 წელს, ასევე ერთი წლით ადრე გადაეცემა საექსპლოატაციოდ მეღორეობის კომპლექსი გიორგიწმინდაში, ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით მიღწეული იქნება ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემა ვადაზე 6 თვით ადრე. ვადაზე ადრე გადაეცემა საექსპლოატაციოდ კახათის ჩაის და კულაშის საქსოვი ფაბრიკები. 1972 წლის საიჯარო სამუშაოების გეგმა შესრულდება 25 დეკემბრისათვის, 1972 წელს გეგმის გადამეტებით შესრულდება ერთი მილიონი მანეთის საიჯარო სამუშაოები, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 150 ათასი მანეთის გადამეტებით.

მიიღო რა გადიდებული ვალდებულებანი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივმა 1972 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოძმე უკრაინის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მშენებლები. ვეცდებით ჩვენი სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა წელს ფართოდ გაშალა შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ შეჯიბრებას ფაბრიკაში სათავეში ჩაუდგა ამ სურათზე აღბეჭდილი მოწინავე მკერავი ციური ქვენიაშვილი. ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ასე შეფობენ, ასე ეხმარებიან

1. ხელით შრომას მანქანა ცვლის

სოფლის მეურნეობის დარგში ამოცანა ის არის, რომ გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა წინახუთწლეულთან შედარებით 20-22 პროცენტით, უზრუნველვყოთ კვების პროდუქტებზე მოსახლეობის და ნედლეულზე მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება.

ასეა ჩაწერილი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში.

სოფლის მშრომელებს ამ დიდი ამოცანების შესრულების საქმეში ქმედით დახმარებას უწევენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. „იუგავტომატიკის" თბილისის სამონტაჟო სამმართველო (უფროსი ი. ყოჩიაშვილი) კოლექტივი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში აწარმოებს ავტომატიზაციის მონტაჟს და გაშვება-გამართვის სამუშაოებს. ამ კოლექტივმა შარშან წლიური გეგმა 116 პროცენტით შეასრულა, კიდევ უფრო გააძლიერა შრომის ტემპი ხუთწლედის მეორე წელს. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდა.

სამმართველოს კოლექტივი თავის ძირითადი საქმიანობის პარალელურად დიდ სამუშაოებს ასრულებს საბჭოთა მეურნეობებში, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და საკოლმეურნეო ფერმებში. სამმართველომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობასთან გააფორმა საშეფო ხელშეკრულება.

შედგენილი გეგმის მიხედვით ჯერ კიდევ ზამთრის დასაწყისში კოლმეურნეობის სამ სალორე ფერმაში დადგეს და დაამონტაჟეს ნორმალური ტემპერატურის შექმნის ავტომატიზაციის დანადგარები. შედეგი სასიხარულოა. მიღწეულია ელექტროენერგიის დიდი ეკონომია, ამაღლდა წარმოების კულტურა. რაც მთავარია, გასულ დიდ ზამთარში უდანაკარგოდ გამოაზამთრეს ღორები. სამონტაჟო სამმართველო და კოლმეურნეობა შეთანხმდნენ წლის ბოლომდე ავტომატიზირებული გათბობა მოაწყონ მეცხოველეობის სხვა ფერმებშიც.

სამმართველოს კოლექტივი დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე რესპუბლიკის მეფრინველეობის ფაბრიკებს შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელების საქმეში. მაგალითად, საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკაში დღემდე არ ჰქონდათ მექანიკური სარწყულებლები, ამაზე დიდი შრომა იხარჯებოდა. ახლა აქ ამონტაჟებენ ავტომატური სარწყულებლების ნაკადურ ხაზს, რომელიც მალე დამთავრდება და მძიმე ფიზიკური შრომისაგან გათავისუფლდება რამდენიმე კაცი.

შეფმა დაზოგილი ელექტროტექნიკური და სხვა დეფიციტური მასალებით დახმარება გაუწია ნორიოსა და თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკებს.

ზ. თამაზიშვილი.

2. ეხმარებიან მაღაროები

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: არსად ისე არ იქნება შერწყმული მუშისა და კოლმეურნის შრომა, როგორც ჭიათურაში. მაღაროელთა დიდი უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს და იქვე განლაგებულ მარგანეცის საბადოში მუშაობს. მისთვის შესისხლხორცებული, განუყოფელია სოფელი. ჭიათურელი მუშა ნახევრადკოლმეურნეა, კოლმეურნეობაში შრომობს, იბრძვის პროდუქტების სიუხვისათვის.

ამითაც არის განპირობებული, რომ მარგანტრესტის საწარმოთა კოლექტივებმა მეტად უნდა იზრუნონ საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობისა და მათდამი საშეფო დახმარების გაძლიერებისათვის.

ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, კალინინის, დიმიტროვის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროების კოლექტივები შეფობენ სოფლების ქვაციხის, ხრეითის, ღვითორის, რგანის, წირქვალის, ხალიფაურის, ზოდის, მანდაეთის, ტყემლოვანის კოლმეურნეობებს. შეფების დახმარებით ბევრი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. უკანასკნელ წლებში აშენდა ქვაციხის, პერევისის, მერევის, ხალიფაურის, ზედუბნის, ქვედა ითხვისის საშუალო სკოლები. ამჟამად საშუალო სკოლები შენდება ქორეთში, უსახელოსა და ითხვისში. 250 ბავშვისათვის შეფებმა საბავშვო ბაღები ააგეს ნიგოზეთში, ბერეთისაში, პერევისაში, ითხვისსა და დარკვეთში.

ცხრუკვეთის, თვალუეთის, ხრეითის, წირქვალის, ზოდის, უსახელოს, ნიგოზეთის, რგანის, პერევისის მიმართულებით აშენდა საავტომობილო გზები, რაზედაც მილიონობით მანეთი დაიხარჯა. მარგანტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა შუქურთისა და კალაურის მშრომელებს შეუკეთა საუნო გზები.

უკანასკნელ ორ წელს მაღაროელებმა კოლმეურნეობებს მიჰყიდეს 605 ტონა ქვანახშირი, 900 კუბურ მეტრზე მეტი შეშა, 367 კუბური მეტრი ხე-ტყის გადანაჭრები, 175 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, 6.000 გრძივი მეტრი მილები, დიდძალი ცემენტი, მავთული და სხვ. ტრაქტორით მოუხნეს ასობით ჰექტარი მიწა, დაუმზადეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამ საქმეში თვალსაჩინოა მარგანტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივის დახმარება.

სოფელ ბერეთისაში შენდება წყალსადენი, რომელიც წელს უნდა დამთავრდეს. იგი 582 ათასი მანეთი ჯდება და სასმელ წყალს მიაწვდის ნიგოზეთისა და უსახელოს მშრომელებს. უფრო მძლავრი იქნება ფასკნარას წყალსადენი.

მარგანტრესტის მმართველმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. გომხოთელიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: ამ წყალსადენის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია მომავალ წელს. მას ჩვენი დაკვეთით აშენებს „ჭიათურმშენის" სამმართველო, რომელმაც გადაჭრით უნდა დააჩქაროს ისედაც გაჭიანურებული მშენებლობა, რათა ხვაშითის, ჭალოვანის, წირქვალის, ზოდის, ხალიფაურის და მღვიმევის მოსახლეობამ მიიღოს სასმელი წყალი.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ქ. გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობა. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქის და რაიონის მოსახლეობას მომსახურებას უწევს გორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელმაც 1971 წელს 1970 წელთან შედარებით გეგმის გადაჭარბებით 522,8 ათასით მეტი მგზავრი გადაიყვანა.

გორის რაიონის არც ერთი სოფელი, სადაც გზის პირობები ამის საშუალებას იძლევა, არ არის დარჩენილი ავტობუსით მომსახურების გარეშე. ყველა მათგანი დაკავშირებულია რაიონის ცენტრთან, ხოლო დიდი სოფლები (ატენი, ნიქოზი, ბერშუეთი, ქვეში, არბო, მერეთი, ჯარიაშენი და ძევერა) პირდაპირი საქალაქთაშორისო მიმოსვლით დაკავშირებულია ქ. თბილისთან. ასევე პირდაპირი საავტობუსო მიმოსვლაა დაწესებული კურორტების — ბორჯომის, სოხუმის, ბათუმის, ჯავის, წყალტუბოს და მსხვილი ქალაქების — ქუთაისის, ორჯონიკიძისა და სხვათა მიმართულებით.

ამასთან ერთად კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქ. გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები.

გორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბაზა ვერ უზრუნველყოფს მოძრავი შემადგენლობის ნორმალურ ტექნიკურ მომსახურებას, რის გამოც ავტობუსები ნაადრევად ბრუნდებიან ხაზიდან ტექნიკური უწესივრობის გამო, არის რეისების ჩაშლის შემთხვევები. ზოგიერთი ავტობუსის ტექნიკური, გარეგანი და შიდა მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

გორის მთელი რიგი დასახლებული უბნები ცუდი გზების გამო დარჩენილია ტრანსპორტით მომსახურების გარეშე (წმინდაწყლის და კვერნაკის დასახლება, გოგებაშვილის და ნინოშვილის ქუჩა და სხვ.).

მთელ რიგ მარშრუტებზე მოუწესრიგებელია ავტობუსების გაჩერების ადგილი, არ არის მოწყობილი ბაქნები, მოსაცდელი პავილიონები და განათება. კეთილმოუწყობელია რაიონის სოფლებში არსებული საბილეთო სალაროები, ხოლო მერეთში, ქვეშში, ფლავში საერთოდ არ არის საბილეთო სალაროები.

ავტომეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა, მძღოლები არღვევენ ხოლმე ქუჩაში მოძრაობის წესებს. სათანადო ყურადღება არ ექცევა მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვისა და მათზე პასუხების დროულად გაცემის საქმეს.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ნ. ბერიკაშვილი, მ. ჩიკვაიძე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე რ. ლეიაშვილი, გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ნ. ონიაშვილი, ბ. გოცირიძე, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი ლ. ვარდიშვილი, გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი ი. გვრიტიშვილი.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ბერიძემ.

კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

(საქინფორმი).

მსოფლიო დღეს

გულთბილ, გულითად ვითარებაში

3-5 აპრილს მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა, როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სვარან სინგჰი. იგი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. გაიმართა მისი შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან. ს. სინგჰი ესაუბრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

მიღებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებიც გულთბილ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის, ინდოსტანის ნახევარკუნძულის მდგომარეობის საკითხთა ფართო წრეს, აგრეთვე განიხილეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ორივე მხარისათვის საინტერესოა.

ორივე მხარემ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო განავითარონ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა, გააფართოონ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა დარგებში.

ინდოსტანის ნახევარკუნძულის მდგომარეობის განხილვისას ორივე მხარემ საჭიროდ მიიჩნია ამ რაიონში წამოჭრილი პრობლემების უსწრაფესი მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგება ინდოეთის, ბანგლადეშისა და პაკისტანის მთავრობათა უშუალო მოლაპარაკების გზით.

აზრთა ურთიერთგაზიარებამ დაადასტურა სსრ კავშირისა და ინდოეთის პოზიციების დამთხვევა ფართო წრის აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარის აზრით, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სვარან სინგჰის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და ნაყოფიერ თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

ბრძოლები გრძელდება:

პატრიოტები ავითარებენ შეტევებს

ჰანოი, 6 აპრილი, (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამიდან მოდის ცნობები დაძაბული ბრძოლების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა პროვინციაში მიმდინარეობს.

აქტიური საბრძოლო მოქმედება გრძელდება კუანგჩის პროვინციაში, სადაც პატრიოტებმა ხელთ იგდეს ბევრი დიდმნიშვნელოვანი პოზიცია. მარიონეტული ჯარები, რომლებმაც მიიღეს მაშველი ძალები — 12 ათასი ჯარისკაცი, ცდილობენ გადავიდნენ კონტრშეტევებზე დონგჰიდან დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ბრძოლები მიმდინარეობდა აგრეთვე ქალაქ კუანგჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით № 1 გზასა და ზღვას შუა მონაკვეთზე. **პროვინციული ცენტრი კუანგჩი თითქმის მთლიანად გარშემორტყმულია განთავისუფლების სახალხო ძალების ნაწილების მიერ.**

პატრიოტები წინ მიიწევენ სამხრეთისაკენ ქალაქ ჰიუეს მიმართულებით. პატრიოტული ძალების სხვა შენაერთები უახლოვდებიან ამ ქალაქს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ჰიუეს მახლობლად დაიწყო გააფთრებული ბრძოლები. ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს ბასტონის სამხედრო ბაზას, რომელსაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ქალაქის დაცვის სისტემაში.

დღეს პატრიოტებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე „ბირმინჰემის" ბაზაზე ჰიუედან 11 კილომეტრზე. ამავე რაიონში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა ალყაში მოაქციეს მარიონეტული ჯარების სატანკო ნაწილი და ქვეითი ბატალიონი, რომლებსაც სერიოზული ზარალი მოსდით.

ამერიკის სარდლობამ დღეს თავისი ჯარისკაცების ორი ასეული გაგზავნა კუანგჩისა და ჰიუეს შორის № 1 გზიდან დასავლეთით მდებარე ერთ-ერთი ბაზის დაცვის განსამტკიცებლად.

ცენტრალურ პლატოზე პატრიოტებმა დღეს რაკეტები და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს მტრის სამხედრო ობიექტებს კონტუმში. მათ იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის სადესანტო ნაწილებზე დაკტოს რაიონში, აგრეთვე ფიონგ ჰოანგის ბაზაზე. ბრძოლები მიმდინარეობს № 14 გზასა და ლაოსისა და კამბოჯის საზღვარს შუა მდებარე მთის რაიონში. მარიონეტების დასახმარებლად სასწრაფოდ გაგზავნეს პარაშუტისტთა სამი ბრიგადა.

ბრძოლები წარმოებს აგრეთვე სამხრეთით, კამბოჯასთან საზღვრის გაყოლებით.

დღეს მარიონეტული რეჟიმის მეთაურმა თხიეუმ საიგონში გამოსვლისას პესიმისტური შეფასება მისცა საომარ ვითარებას და თავისი ჯარების მდგომარეობას „კრიტიკული" უწოდა.

საიგონის ჯარების მხარდასაჭერად მობილიზებულია ამერიკის ავიაციის მსხვილი შენაერთები. გასულ ორ დღეში ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკური ავიაცია დაახლოებით 250-ჯერ დაესხა თავს რაიონებს კუანგჩის, თხიათხიენის პროვინციებში და ცენტრალურ პლატოზე, რომლებსაც კონტროლს უწევენ პატრიოტები. გარდა ამისა, „ბ-52" სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა 40 რეიდი მოაწყვეს სამხრეთ ვიეტნამში, ჩამოყარეს ათასობით ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება.

ჰანოი. 6 აპრილი. (საკდესი). „ვიეტნამიზაციის" პოლიტიკა, წერს გაზეთი „ნიან ზანი", უიმედო პოლიტიკაა.

მისი მიზანია აგრესიული ომის განგრძობა და აქტივიზაცია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ უკიდურესად ბარბაროსული და დანაშაულებრივი მეთოდების საშუალებით. მაგრამ ეს პოლიტიკა ვერ იხსნის დამპყრობლებს. ახლანდელი ვითარება ყველა ფრონტზე, ხაზგასმით აღნიშნავს „ნიან ზანი", მოწმობს ამერიკელ აგრესორთა და მათ მარიონეტთა დიდ სიძნელეებს.

პარიზი. 6 აპრილი. (საკდესი). აგრესიას რომ აფართოებს და საბოტაჟს უწევს პარიზის მოლაპარაკებას, შეერთებული შტატები ამავე დროს ყოველნაირად ცდილობს, რომ შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული განთავისუფლების ძალების უკანასკნელი დღეების შეტევა წარმოსახოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მოქმედებად.

იშველიებს რა ამ ცრუ მტკიცებებს, ამერიკის შეერთებული შტატები ესწრაფვის გაამართლოს თავისი ბარბაროსული მოქმედება, რითაც საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმასა და ჟენევის 1954 წლის შეთანხმებების დარღვევაა.

ეს განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის წარმომადგენელმა ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირზე ლი ვან საუმ.

კაირო

მეგობრობის კვირეული

6 აპრილი. (საკდესი). „ალ-გურის" [illegible] სასახლეში [illegible] გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის კვირეული.

ამასთან დაკავშირებით, გამართულ ოფიციალურ ცერემონიალზე გამოვიდა კაიროს გუბერნატორის მოადგილე ფათჰი აბუ ალსაუდი. „ეგვიპტელი ხალხი — თქვა მან, — არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხის მეგობრულ უანგარო დახმარებას. ჩვენი მეგობრობა განმტკიცებულია, მაღლივი ასუანის კაშხალით და მრავალი ნაყოფიერი თანამშრომლობით ყველა დარგში". ფათჰი აბუ ალ-საუდის სიტყვებს დამსწრენი — კაიროს მუშები, ხელოსნები, ინტელიგენციის წარმომადგენლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

„ალ-გურის" სასახლის ფოიეში გაიხსნა გამოფენები „სსრ კავშირი — კულტურა და ცხოვრება", „საბჭოთა არმია მშვიდობის სადარაჯოზე", აგრეთვე საბჭოთა გრაფიკის გამოფენა.

კვირეულის პროგრამაში შედის ლექციები და საუბრები მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების შესახებ. ამ ლექციების წაკითხვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ეგვიპტელი ჟურნალისტები, კულტურის მუშაკები, კვირის განმავლობაში უჩვენებენ საბჭოთა მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების შრომასა და მიღწევებს.

კვირეულის გახსნაზე დიდი საკონცერტო პროგრამით გამოვიდა ეგვიპტეში საგასტროლოდ მყოფი ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ივერია".

რომი

წინასაარჩევნო კამპანია

6 აპრილი. (საკდესი). იტალიელი კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში ქვეყნის პარლამენტის ვადამდე არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 7-8 მაისს. პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მდივნები, კანდიდატები იტალიის კომპარტიისაგან გამოდიან მიტინგებსა და კრებებზე. იტალიის კომპარტიის აქტივისტები განმარტავენ თავიანთი პარტიის პოლიტიკას სოფლის ამომრჩევლებთან მრავალი შეხვედრის დროს.

დღეს „უნიტა" ბეჭდავს იტალიის კომპარტიის თავმჯდომარის ლუიჯი ლონგოს ინტერვიუს, რომელშიც გაანალიზებულია იტალიის სამხრეთში და, კერძოდ, იტალიის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კალაბრის ოლქში შექმნილ მდგომარეობას, საიდანაც ყოველწლიურად სამუშაოს საძებნელად ათასობით მშრომელი მიემგზავრება. იმისათვის, რომ უშუალოდ მოვკიდოთ ხელი და დემოკრატიული გზით გადავჭრათ ქვეყნის პრობლემები, პირველ რიგში, სამხრეთის პრობლემები, ნათქვამია ლ. ლონგოს ინტერვიუში, ახლა საჭიროა ისეთი მთავრობა, რომელიც გამოხატავს ფართო მასების საჭირბოროტო მოთხოვნებს და თავის შემადგენლობაში შეიყვანს მთელი მემარცხენე დემოკრატიული პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს.

ბუენოს-აირესი

პოლიციის ძალადობა

6 აპრილი. (საკდესი). არგენტინის ქალაქებში მენდოსასა და სანხუანში მოეწყო მშრომელთა მშვიდობიანი დემონსტრაციები, რომლებიც დაარბიეს პოლიციამ და არმიამ.

ამ დარბევის შედეგად დაიღუპა ორი და ასზე მეტი კაცი დაიჭრა. დემონსტრაციათა მონაწილენი მოითხოვდნენ პოლიციური თვითნებობის შეწყვეტას, მთავრობის მიერ ღონისძიებათა განხორციელებას სიძვირის ზრდის შესაკავებლად.

მენდოსაში გაიმართა დემონსტრაციის მოკლული მონაწილის დაკრძალვა, რომელიც პოლიციური ტერორის წინააღმდეგ ახალ მრავალათასიან საპროტესტო მანიფესტაციად გადაიქცა.

სამგლოვიარო მსვლელობის გარეკვის მიზნით ხელისუფლებმა კვლავ გამოიყვანეს ჯარები და პოლიციის გაძლიერებული რაზმები, რომლებმაც გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი და ცრემლსადენი გაზის გრანატები.

ტოკიო

საომრად არიან გამზადებულნი

6 აპრილი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ მარიონეტული ჯარები სერიოზულ მარცხს განიცდიან სამხრეთ ვიეტნამში, ამერიკის სამხედრო ძალები ოკინავაზე საბრძოლოდ არიან გამზადებული, — გაზეთ „აკაჰატას" ცნობის თანახმად, ოკინავის სამხედრო-საზღვაო ბაზებში გადაიყვანეს საზღვაო ქვეითი კორპუსის მე-3 დივიზიის ქვეგანაყოფები. ზოგიერთი ქვეგანაყოფი მოელის ზღვაში გასვლას, ზოგიერთი ტვირთავს საბრძოლო მასალებს სამხედრო ტრანსპორტებზე.

პარიზი

საგარეო პოლიტიკის ლენინური კურსი

6 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ლენინური კურსი, რომელსაც სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ „მშვიდობის პროგრამა" განასახიერებს, დიდ ნაყოფიერ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობაზე, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, სენატორმა ჟაკ დიუკლომ.

სსრ კავშირის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ომის კერების ლიკვიდაციას, იმპერიალიზმის მიერ მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის აღკვეთას, დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პოლიტიკური კლიმატის შექმნას, დიდ გამოხმაურებას პოულობს ყველა კონტინენტზე და მნიშვნელოვანწილად განამტკიცებს დიდი ლენინის ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს.

საფრანგეთის საზოგადოებრიობა, ყველა ფრანგი მშრომელი, თქვა შემდეგ ჟაკ დიუკლომ, ფართოდ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ასრულებს რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, საბჭოთა კავშირი უდიდეს მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა აგრეთვე საბჭოთა კავშირის საქმიანობამ ევროპაში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, თქვა შემდეგ ჟაკ დიუკლომ, სსრ კავშირის აქტიურმა მოქმედებამ უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის სასარგებლოდ უკვე შექმნა ხელშემწყობი ატმოსფერო ევროპის უმეტეს თუ არა ყველა ქვეყანაში. ახლა ევროპის კონტინენტზე არ არის ისეთი ქვეყანა და ხელმძღვანელი, რომლებიც აშკარად ილაშქრებდეს ასეთი თათბირის მოწვევის თვით პრინციპის წინააღმდეგ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს საფრანგეთში. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივ დეკლარაციაში ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად და თანახმა არიან ხელი შეუწყონ ამ თათბირის მოწყობას 1972 წელს.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შესაძლებლობა მქონდა სენატის კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე შეკითხვა მიმეცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის. მორის შუმანმა მიპასუხა, რომ საფრანგეთის მთავრობა უწინდებურად იმის მომხრეა, რომ სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე მოეწყოს 1972 წელს.

ჩვენ, ფრანგი კომუნისტები, თქვა ჟაკ დიუკლომ, დარწმუნებული ვართ, რომ ევროპის ყველა ქვეყნის თათბირი, სადაც განიხილავენ კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებს, უნდა გახდეს ახალი ეტაპი საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ ვიჩალებთ აქტიურ მოქმედებას იმის სასარგებლოდ, რომ ეს თათბირი გაიმართოს 1972 წელს.

დელი

ს. სინგჰის განცხადება

6 აპრილი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან დელში დაბრუნებულმა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა დელის აეროპორტ „პალამში" განაცხადა: „კმაყოფილი ვარ საბჭოთა კავშირში ჩემი ვიზიტის შედეგებით. ამ ფრიად სასარგებლო ვიზიტმა საშუალება მოგვცა მოგვეწყო კონსულტაციები მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იმ ხელშეკრულების სულისკვეთებით, რომელსაც ჩვენმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს გასული წლის ზაფხულში".

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ორივე მხარისათვის საინტერესოა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კმაყოფილებით განაცხადა: მოლაპარაკების დროს მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა „მიაღწიონ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას ინდოსტანში".

ვაშინგტონი

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარებისათვის

6 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრმა პ. პიტერსონმა იმედი გამოთქვა, რომ ვაჭრობის მოცულობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის მნიშვნელოვნად გადიდდება.

პრესის ეროვნულ კლუბში გამოსვლის დროს პიტერსონმა აღნიშნა, რომ „ორივე ქვეყანას შეუძლია შესთავაზოს ერთმანეთს მრავალი საქონელი". მისი თქმით, ვაჭრობის გაფართოება „ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება პრეზიდენტ ნიქსონის მომავალი მოლაპარაკებისა საბჭოთა ხელმძღვანელებთან მოსკოვში".

პიტერსონის განცხადება ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების მზარდ დაინტერესებას საბჭოთა კავშირთან გრძელვადიან საფუძველზე მტკიცე ეკონომიური და სავაჭრო კავშირურთიერთობის დამყარებით. მაგალითად, ამ დღეებში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის გაფართოებას დაუჭირა მხარი ნ. ლეიძმა, „ჩარხმშენებელთა ეროვნული ასოციაციის" თავმჯდომარემ. ეს ასოციაცია აერთიანებს კომპანიებს, რომელთა წილად მოდის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩარხების მთელი წარმოების 90 პროცენტი.

სენატის საერთაშორისო ფინანსთა ქვეკომისიაში გამოსვლისას ლეიძმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოღებული კონტროლი საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტისადმი „ზარალს აყენებს ამერიკის მრეწველობას და დასაქმებას ქვეყანაში". მან თქვა, რომ „ამერიკის ჩარხსაშენებელი მრეწველობა ახლა კრიტიკულ მდგომარეობაშია და დაქვეითებას განიცდის", და განაცხადა: „ამერიკელ მუშებს სამუშაო უნდათ. საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დიდმნიშვნელოვანი ბაზრები ფართო შესაძლებლობებს სახავენ ექსპორტისათვის".

ლეიძმა მოუწოდა სენატორებს გააუქმონ სოციალისტურ ქვეყნებში ჩარხებისა და მოწყობილობების მიწოდებაზე დადებული ყადაღა, აგრეთვე შეზღუდვები სსრ კავშირში ექსპორტისათვის საჭირო კრედიტების მიცემაზე.

დიდი სავაჭრო ფირმის „სატრას" ვიცე-პრეზიდენტმა გრიფინმა განაცხადა, რომ საჭიროა ამერიკამ შეიცვალოს პოზიცია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხში, შექმნას ვაჭრობის დაკრედიტებისათვის ხელშემწყობი პირობები და გაავრცელოს სსრ კავშირზე უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი.

ჩაიფუშა პროვოკაციული წამოწყება

ნიუ-იორკი

6 აპრილი. (საკდესი). ამერიკის ხელისუფალთა ის ცდა, რომ ანგარიში გაესწორებინათ მშვიდობისათვის მებრძოლთა ჯგუფისათვის ფ. ბერიგანის მეთაურობით, რომელთაც მთავრობისსაწინააღმდეგო შეთქმულება დააბრალეს, ჩაიფუშა.

ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ მიიჩნია, რომ ფ. ბერიგანისა და მისი ექვსი ამხანაგისათვის წაყენებული ბრალდებანი საკმაოდ დამაჯერებელი არ არის, და არ ცნო ისინი დამნაშავეებად „მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში".

როგორც ცნობილია, ამერიკის ხელისუფლებს უნდოდათ ჰარისბერგში (პენსილვანიის შტატი) მოეწყოთ თავისებური საჩვენებელი პროცესი, რათა დაეშინებინათ ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის მოწინააღმდეგენი.

გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფის ე. ჰუვერის ხელქვეითებმა მისი პირადი განკარგულებით შეთითხნეს სასამართლო საქმე „შეთქმულებისა, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის ჰ. კისინჯერის გატაცებას და ვაშინგტონში მთავრობის შენობათა გასათბობი სისტემის აფეთქებას". ეს „საქმე" უფრო დამაჯერებელი რომ გაეხადა, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მიმართა პროვოკაციებს და ისარგებლა სისხლის სამართლის დამნაშავე რეციდივისტის დუგლასის სამსახურით, რომელსაც, როგორც გამოირკვა, გადაუხადეს 50 ათასი დოლარი „ბრალდებისათვის საჭირო ჩვენებების მისაცემად".

მაგრამ გამოძიების ფედერალური ბიუროს დაქირავებული აგენტის უხეში ცდები, — სასურველი სინამდვილედ გაესაღებინა, გააბათილეს სასამართლო პროცესზე.

როცა შეატყო, რომ შეთითხნილი ბრალდება ყოვლად უსაფუძვლო იყო, პროკურორმა გააჩაღა ჟიურის წევრებზე აშკარა ზეგავლენის კამპანია და მოითხოვა მათგან ეცნოთ ფ. ბერიგანი და მისი ექვსი თანამოაზრე დამნაშავედ „შეთქმულებაში" მონაწილეობისათვის.

ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს „ჰარისბერგელი შვიდეულის" ხუთი წევრი, მაგრამ ფ. ბერიგანი და ე. მაკალისტერი დამნაშავედ ცნეს მხოლოდ იმაში, რომ „საპყრობილიდან გადასცეს სამი წერილი".

ფ. ბერიგანისა და მისი თანამებრძოლების სასამართლო პროცესმა მძლავრი პროტესტები გამოიწვია შეერთებულ შტატებში. ბევრ ქალაქში შეიქმნა „ჰარისბერგელი შვიდეულის განთავისუფლების კომიტეტები".

„ხანგრძლივი პატიმრობაც რომ მოგვისაჯონ, — თქვა ელიზაბეტ მაკალისტერმა ჟიურის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, — ვფიქრობ, ჩვენ უკვე მოვიპოვეთ გამარჯვება". ამ სიტყვებს მქუხარე ოვაციით შეხვდნენ სასამართლოს დარბაზში დამსწრენი.

მოგზაურობა საფრანგეთში

ციხე-სიმაგრეში ლუარის პირას

განსაცვიფრებელი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლებით, წარმტაცი პეიზაჟებით საფრანგეთი ამოუწურავია. თვითეული მათგანი საფრანგეთის ისტორიის ნაწილია.

მათ შორის არის პარიზიდან მცირე ხნის სავალზე პატარა ქალაქ ამბუაზში ერთი თავისებურებით ფრიად საყურადღებო სამეფო ციხე-სასახლე ამბუაზი. ციცაბო კლდის პირას აგებული ციხე-სასახლე ლუარიდან არწივის ბუდესავით მოჩანს. ასწლოვან ჭადრებსა და გემოვნებით მოვლილ გაზონებში ჩაფლული, ეზოში ლამაზი ხის ხიდებით დამშვენებული მდინარე ამასი კიდევ უფრო რომანტიკულ იერს აძლევს აქაურობას.

მხატვრული შარავანდედით მოცული, საიმედო კედლებით დაცული, ნადირ-ფრინველით სავსე ტყეები და ჭალები... აი ამიტომ არც არის გასაკვირველი, რომ აქაურობა დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ფრანგი მონარქების საყვარელ რეზიდენციას.

ეზოს კუთხეში დგას ამბუაზის კიდევ ერთი მშვენება — წმინდა იუბერის სამრეკლო. ეს სამრეკლო XV საუკუნეშია აგებული. გარედან ვიწრო ფანჯრებითა და გოთური შპილით, შიგნით კი ფერად-ფერადი ვიტრაჟებით მოხატული ეს პატარა ნაგებობა ადრეული გოთიკის შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს.

გარდა არქიტექტურული ღირსებისა, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მოსულთა თვალთახედვას აქ თეთრი მარმარილოს ფილაზე გაკეთებული წარწერა იპყრობს. წარწერა იუწყება, რომ აქ განისვენებს გამოჩენილი იტალიელი ხელოვანის ლეონარდო და ვინჩის ნეშტი.

ლეონარდოს ცხედარი თავიდან აქ არ დაუსაფლავებიათ. მიცვალებულის ანდერძში გამოთქმული სურვილის თანახმად, იგი დაასაფლავეს მეორე სამრეკლოში — წმინდა ფლორენტინა ამბუაზელის მონასტერში. ეს უკანასკნელი ერთ დროს ციხე-სასახლის მეორე მხარეს მდებარეობდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონასტერი ციხე-სასახლის მორიგი გარშემორტყმის დროს ცეცხლსა და მახვილს მისცეს, და ვინჩის ცხედრის ნარჩენები სასწაულებრივ გადარჩენილ მარმარილოს დაფასთან ერთად გადატანილ იქნა წმინდა იუბერის სამრეკლოს ტერიტორიაზე.

სიცოცხლის უკანასკნელი სამი წელი გაატარა ამბუაზის განაპირას მდებარე პატარა მამულ კლო-ლიუსეში ფუნჯის და საჭრისის დიდმა ოსტატმა. მამული ლეონარდოს საჩუქრად მიართვა მეფე ფრანცისკო პირველმა, რომელიც მხატვრის სიცოცხლეში ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე მას.

შესანიშნავად მოვლილი მამულისა და სასახლის დღევანდელ მეპატრონეებს წარმოადგენს ცნობილი მეცენატების — სენ ბრის ოჯახი: „პალაცო დელ კლუ" — ასე უწოდებდა მას იტალიელი დიდოსტატი. ასი წლის მანძილზე სწორედ ამ ოჯახმა შეუნარჩუნა სასახლეს წინანდელი, პატრონისეული სახე. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს რესტავრირებულია ლეონარდოს გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში გადაკეთებული ოთახები სამრეკლოს კედლებს მოაშორეს საღებავი. ახლა მნახველს კვლავ შეუძლია იხილოს ლეონარდოს ნახატების მიხედვით მისივე მოწაფეების მიერ შესრულებული ფრესკები. თავისი პირვანდელი სახით აღდგენილია ორი დიდი ოთახი აგურის კედლებით, ჭერზე მუხის მსხვილი დირეებით და უზარმაზარი ბუხრებით.

ოთახები გაწყობილია მეთხუთმეტე საუკუნის ავეჯით, მოჩუქურთმებული გრძელი სკამებით, სავარძლებით, მასიური მაგიდებითა და ბუფეტით. ბუფეტის თაროებზე ჩამწკრივებულია კალის ჭურჭელი და კერამიკული კათხები. კედლები ძველებური იარაღით არის შემკული, ხოლო დირეზე გაკეთებული კაუჭები გამოყენებული იყო ნანადირევის დასაკიდებლად. თუ გავითვალისწინებთ, რომ წმიდა იუბერის სამრეკლოზე ნადირობის ღმერთია გამოსახული ნადირის რქებით, უნდა ვიფიქროთ, რომ კლო-ლიუსში დიდად აფასებდნენ არტემიდასა და მის მრევლს.

მნახველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს სასახლის მეორე სართული. აქ არის საწოლი ოთახი. ოთახში დადგმული მეწამული ფერის საჩრდილეებიან მუხის ფართო საწოლზე გარდაიცვალა ლეონარდო და ვინჩი. საწოლის ორივე მხარეს სამი ნახატი ჰკიდია. ესენი ლეონარდოს სამი შედევრის ფოტორეპროდუქციებია: „ჯოკონდა — მონა ლიზა", „წმიდა ანა" და „იოანე ნათლისმცემელი". მოლბერტზე მოთავსებულ ორიგინალებს გენიალური ხელოვანი ცხოვრებაშიც არასდროს არ იშორებდა გვერდიდან. ორი ტილო ლეონარდომ იტალიიდან ჩამოიტანა, ხოლო „იოანე ნათლისმცემელი" — კლო-ლიუსში დახატა. ეს დიდოსტატის უკანასკნელი ქმნილებაა. მოხუცებულობით დაუძლურებული მხატვარი დროდადრო დაუბრუნდებოდა ხოლმე უკანასკნელ ტილოს, სანამ მარჯვენა ხელი დამბლამ არ წაართვა.

ზოგიერთი ოთახი, რომელიც მხატვრის სახელოსნოს წარმოადგენდა, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში მისაღებ ოთახებად იქნა გადაკეთებული. კედლებს აქ ამშვენებს მეთექვსმეტე საუკუნეში დამზადებული გობელენები, ავეჯი რენესანსის ეპოქისეულია, სავარძლები გოთიკის. აქვე ვეცნობით ცნობილი მწერლებისა და პოეტების — ლეონარდოს პირადი მეგობრების ბიუსტებს.

როგორც ხელოვანის, ლეონარდო და ვინჩის, საფრანგეთში გატარებული სამი წელიწადი ნაკლებ პროდუქტიული იყო. სამაგიეროდ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი განსაცვიფრებლად ნაყოფიერია როგორც გამომგონებელი, მკვლევარი, მოაზროვნე და მეცნიერი. არქიტექტურა და გეომეტრია, ოპტიკა და მექანიკა, ანატომია და ბოტანიკა, გეოლოგია და ჰიდრავლიკა — როგორც გენიოსს შეეფერება, ცოდნის სრულიად სხვადასხვა სფეროს სწვდებოდა მისი ჭეშმარიტად ღრმა და ფართო აზროვნება.

ჩავდივართ სასახლის სარდაფში, და თვალწინ იშლება და ვინჩის უნივერსალური შემოქმედების ნაყოფი. რამდენიმე ოთახის იატაკზე, კედლებზე, ჭერზე ექსპონირებული მაკეტებით, დიაგრამებითა და სქემებით დიდი იტალიელი წარმოგვიდგება როგორც სამხედრო ინჟინერი, მექანიკოსი, სამოქალაქო მშენებელი და აერონავტიკის პიონერი. მაკეტები, ლეონარდოს სქემების მიხედვით დამზადებულია არც თუ ისე დიდი ხნის წინათ. საინტერესოა, რომ დიდი ხნის განმავლობაში თვით ხელოვანი თავს, უპირველეს ყოვლისა, ინჟინრად, არქიტექტორად, კონსტრუქტორად თვლიდა და არა მხატვრად.

კლო-ლიუსეს ფართო დარბაზები თანამედროვე იარაღის მრისხანე არსენალს დამსგავსებია. აქ ვხედავთ ტყვიამფრქვევების, ქვემეხებისა და ტანკების პირველ სახეებს. დემონსტრირებულია მრავალლულიანი იარაღებიც: ერთ ლაფეტზე მარაოს მსგავსად განლაგებულია მცირე კალიბრის ათლულიანი ქვემეხი. ერთობ ორიგინალურია მეორე ტიპის ქვემეხიც. მის ერთ ლაფეტზე სამკიდიანი მოძრავი ლილვია გაკეთებული. თვითეულ ლილვზე კი თერთმეტ-თერთმეტი ლულაა. ქვემეხის მოქმედების პრინციპი ასეთია: სანამ ერთ-ერთ ლილვზე დამაგრებული ლულები ისვრიან, მეორე ლილვის ლულები გრილდებიან, ხოლო მესამისა ტენიან. ამავე ოთახშია მოძრავი საარტილერიო კოშკი — იგივე პირველი ტანკის მოდელი.

გადავდივართ მეზობელ ოთახში, და კიდევ უფრო გვაოცებს გენიალური შემოქმედის აზროვნების მასშტაბები. აქ გამოფენილია თვითმფრინავის, ვერტმფრენისა და პარაშუტის ლეონარდოსეული მოდელები. პირველი მფრინავი აპარატის ჰაერში აფრენამდე ოთხასი წლით ადრე შექმნილ ამ მანქანათა მოდელების ტექნიკური გაანგარიშებანი დღევანდელ წამყვან მეცნიერ-კონსტრუქტორთა აზრითაც კი უნაკლოდ არის შესრულებული.

ლეონარდომ ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში შექმნა მანქანის უკანა თვლების ასამოძრავებელი მექანიზმი, რითაც ფაქტიურად ჩაუყარა საფუძველი ავტომობილის გამოგონების იდეას. მაგრამ აღნიშნულით როდი ამოიწურება დიდი იტალიელის წვლილი ავტომშენებლობაში. მის ხელს ეკუთვნის სიჩქარეთა პირველი გადამრთველი, თვლების მოძრაობის დამთვლელი — პირველი სპიდომეტრი, სიმძიმეთა პორტატიული ამწევი-დომკრატი და ა. შ.

როცა მუზეუმში ლეონარდოს მიერ შესრულებული მოძრავი ხიდის, სურათების სადემონსტრაციო ჯადოსნური ფანრის — კინოდიოსკოპის, ჭებიდან წყლის მექანიზებული ამომტუმბავისა და სხვა ჰიდრავლიკური დანადგარების, ხომალდების მარცვლეულით მექანიზებული წესით დატვირთვისა და გადმოტვირთვის, სასახლეთა გამაგრილებელ-საკონდიციო დანადგარების, საბეჭდი დაზგებისა და სხვათა მაკეტებისა თუ ამ მაკეტების ფოტოკოპიოებს ეცნობი, განცვიფრებას ეძლევი, სად არის ამ ადამიანის აზროვნების ზღვარი?

ლეონარდო და ვინჩი ისე გარდაიცვალა, რომ არც ერთი მისი გამოგონება, გარდა საბეჭდი დაზგისა, პრაქტიკაში არ დანერგილა. გამომგონებელი თვითონ არაერთხელ სინანულით წერს თავის ჩანაწერებში, რომ, სამწუხაროდ, ხელთ არა აქვს თვლებისა და პროპელერების მქონე, მის მიერ გამოგონებული აპარატების მოძრაობაში მოსაყვანი საჭირო ენერგია. სწყინდა, რომ სამხედრო ინჟინრად მის მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას ჯეროვნად არ აფასებდნენ მონარქები და მათ კართან დაახლოებული არისტოკრატია, რომ სახახლეთა კარზე მას პატივს სცემდნენ როგორც მხოლოდ ხელოვანს და არა გამომგონებელს. რაც შეეხება ლეონარდოს თანამედროვე ვაიმეცნიერებს, მათ დიდი გამომგონებლის სახელის გაგონებაც კი არა სურდათ. და ვინჩის ფანტაზიორად, ეშმაკის მოციქულად, ჭკუაზე შემცდარ ადამიანადაც აცხადებდნენ. სინამდვილეში ლეონარდომ გენიალური აზროვნებით ბევრად გაუსწრო წინ თანამედროვეებს.

ავტომობილი და თვითმფრინავი დღეს თანამედროვე ცხოვრების აუცილებელ და ჩვეულებრივ აქსესუარებად გადაიქცნენ, ხოლო ყოველგვარი მოდიფიკაციის გარეშე ლეონარდოსეული წყლის ამოსატუმბი მოწყობილობის პრინციპით დღემდე ხელმძღვანელობენ ალჟირსა და ეგვიპტეში.

ლეონარდოს დროს მეცნიერება და ტექნიკა რომ ისეთ დონეზე ყოფილიყო განვითარებული, რომ მის გამომგონებლურ ნიჭს რეალური ნიადაგი ეპოვნა, ძნელი სათქმელია ეს უდიდესი პიროვნება თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებითი საქმიანობით რა მხრივ იქნებოდა ცნობილი — როგორც ინჟინერი და გამომგონებელი, თუ როგორც ფუნჯისა და პალიტრის აღიარებული დიდოსტატი, ან იქნებ ორივე ერთად. მაგრამ ის, რაც ლეონარდომ დაუტოვა კაცობრიობას ხელოვნების სფეროში, მარადჟამს ეყოფა ადამის მოდგმას სულიერ საზრდოდ.

თვალწარმტაცი და მომხიბლავია მდინარე ლუარის ჭალები. განსაცვიფრებელი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლებით ამოუწურავია საფრანგეთი. მათ შორის ცივილიზებული კაცობრიობის განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ლუარისპირა პატარა ქალაქ ამბუაზის სამეფო ციხე-სიმაგრე, სადაც თავისი რთული და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების სამოცდაშვიდი წლისთავზე უკანასკნელი სასუფეველი ჰპოვა გენიალურმა იტალიელმა მხატვარმა — ლეონარდო და ვინჩიმ.

არნ. გეგეჭკორი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — კლო-ლიუსეს სასახლე, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი სამი წელი გაატარა ლეონარდო და ვინჩიმ; ქვემოთ — სარეცელი, რომელზეც გარდაიცვალა ლეონარდო.

ავტორის ფოტო.

ამბები

● **მსოფლიოში პირველი** კოსმონავტი ქალი ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, რომელიც მეთაურობს ჩილეში ვიზიტად მყოფ საბჭოთა ქალების კომიტეტის დელეგაციას, დააჯილდოეს ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალების უმაღლესი ორდენით — „მხედრული დამსახურების დიდი ვარსკვლავით". ეს ჯილდო მას გადასცა ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა გენერალმა სესარ რუის დანიომ დარბაზობაზე, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ გამართა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად.

● **იემენის სახალხო დემოკრატიული** რესპუბლიკის პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ს. რუბეიამ მე-4 პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრ ქალაქ ნისპეში გახსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურებისა და შეკეთების სადგური, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აშენდა.

● **აგრარული პოლიტიკის** საკითხები განიხილეს თათბირის მონაწილეებმა, რომელიც ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ გამართა იმ პოლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა ხელმძღვანელებთან, რომლებიც სახალხო ერთიანობის კოალიციაში შედიან. თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

● **შვეიცარია აქტიურ მონაწილეობას** მიიღებს უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მუშაობაში. ეს ნათქვამია შვეიცარიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში 1971-1975 წლებში ქვეყნის პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ.

● **ამერიკის შეერთებული შტატები** აფართოებს ვაჭრობას სამხრეთ როდეზიის რასისტულ რეჟიმთან. დაიანტში (ლუიზიანის შტატი) ჩამოვიდა სამხრეთ-როდეზიული ქრომის მადნით დატვირთული მეორე ხომალდი.

● **ათასამდე ატომური მუხტია** ახლა ამერიკის წყალქვეშა ნავების „ჰოლი-ლოხის (შოტლანდია) ბაზაზე. ეს ნავები აღჭურვილი არიან „პოლარისის" რაკეტებით, განაცხადა „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის" ორგანიზაციის მდივანმა დიკ ნეტლტონმა.

● **პარიზის ვერსალის** კართან საგამოფენო დარბაზში დღეს გაიხსნა ელექტრონულ კომპონენტთა მე-15 საერთაშორისო სალონი, რომელშიც მონაწილეობს 20-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, იაპონია და სხვა ქვეყნები.

ფაქტები

საქართველოს მთა-ბარში

ზეიმი კოლმეურნის ოჯახში

მაიაკოვსკი. (საქინფორმის კორ. ს. ჭარხალაშვილი). „სანიაოს" ეძახიან ადგილს, რომელიც სოფელ ფერსათის მთის ფერდობზე მდებარეობს. სანიაოს დასაწყისში მრავალსაუკუნოვანი მუხების კორომში ხის ოდა სახლი დგას. აქ კოლმეურნეებმა ალექსანდრე და ანა ხამხარაძეებმა 8 შვილი აღუზარდეს სამშობლოს.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ მოტყდა ანა, მაგრამ მას შვილები და შვილიშვილები უქარვებენ დარდს. ანას ყველა შვილი, რძლები და სიძეები უმაღლესი განათლებით არიან. ყველანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებია. ორი შვილი ქეთევანი და ვერა ექიმია, ნინო, მერი, ვლადიმერი და ვარა — პედაგოგები. ვარა, რომელიც ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგია, ახლახან დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. შალვა მეტყევე ინჟინერია და ოც წელზე მეტია მაიაკოვსკის სატყეო მეურნეობის დირექტორად მუშაობს. გასულ წელს მას დამსახურებული მეტყევის წოდება მიანიჭეს. ანას მესამე ვაჟი შოთა მოსკოვში ცხოვრობს, იგი სამხედრო მოსამსახურეა.

სკკპ წევრები არიან ანას შვილიშვილები უმაღლეს დამთავრებულები ლიანა, ბეჟანი, ეთერი, იზა.

ანას 85-ე გაზაფხულის პირველ დღეებში სოფლის მცხოვრებთ არ გამოპარვიათ ხალხმრავლობა მუხების კორომში. ოჯახის 41 წევრი ორი დღის განმავლობაში ზეიმობდა ამაგდარი მშობლის დაბადების 85 წლისთავს.

„კომუნისტის" კალენდარი

მშობელი ხალხის სიყვარულით

ია ეკალაძის დაბადების 100 წლისთავის გამო

□

ია ეკალაძე ცნობილი ქართველი მწერლის იაკობ ცინცაძის ფსევდონიმია. ნიჭიერი პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, ცნობილი პედაგოგი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა.

მძიმე და გრძელი გზა განვლო ია ეკალაძემ. მისი ცხოვრება სავსე იყო კომპრომისებითა და წინააღმდეგობებით.

არავინ იცოდა, როგორ წავიდოდა მისი ცხოვრება, რომ მწერლობაში ახალ გამოსულს არ დახმარებოდა დ. მიქელაძე (მეველე). როცა მან 1897 წელს „ივერიის" ფურცლებზე დაბეჭდინა პირველი მოთხრობა „ილიკო ბედენაძე" — თომაანთკობას ფსევდონიმით, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია „ივერიის" რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს. მან იაკობი თავის რედაქციის მუდმივ თანამშრომლად მიიწვია.

აქ ხვდებოდა ახალგაზრდა ია ეკალაძე აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ანტონ ფურცელაძეს, ნიკო ხიზანიშვილს, კიტა აბაშიძეს და სხვ...

იაკობ ცინცაძე ზედიზედ აქვეყნებს თავის მოთხრობებს, ესკიზებს, ნოველებს, რითაც ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევს როგორც მომავალი ნიჭიერი მწერალი, მაგრამ მისი მეამბოხე განწყობილება შეუმჩნეველი არ რჩება მთავრობას. გაზეთ „ივერიაში" 1871 წ. დაბეჭდილი მისი ერთი მოთხრობის გამო, გაზეთი შვიდი თვით დაიხურა. ეს იყო „სურათები მოსწავლის ცხოვრებიდან", რომელშიც მწერალმა ფარდა ახადა სემინარიაში გამეფებულ სულშემხუთავ რეჟიმს.

ამ მოთხრობის დაბეჭდვამ აალელვა სასულიერო წოდების წარმომადგენლები, მათ მოითხოვეს „ივერიის" დახურვა და გათამამებული მწერლის ადმინისტრაციული დასჯა. მალე მისი პატარა არაკის „რას იცინის" გამოქვეყნებას მოჰყვა მწერლის სამი წლით გადასახლება ლენქორში.

ზიზღი და სიძულვილი მეფის თვითმპყრობელობისადმი ი. ცინცაძემ ჯერ კიდევ სემინარიის წლებში გამოამჟღავნა. მგზნებარე რევოლუციონერ ლადო კეცხოველთან სიახლოვემ ასწავლა მას ბრძოლა თავადაზნაურობის, სასულიერო წოდების და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

მძიმედ განიცადა ი. ეკალაძემ თავისი უახლოესი მეგობრის ლადო კეცხოველის ტრაგიკული დასასრული, რამაც დააწერინა მას შესანიშნავი დრამატული ნაწარმოები „კამერა 21 ჯვრით", რომელსაც შემდეგ დიდი წარმატება ხვდა ქართული თეატრის სცენაზე.

შედარებით გვიან მოუხდა ი. ცინცაძეს უმაღლესი განათლების მისაღებად ყაზანის უნივერსიტეტში გამგზავრება. იგი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, ყველას ყურადღებას იპყრობს თავისი საერთო მომზადებით და რუსული ენის შესანიშნავი ცოდნით.

აქ მატერიალისტური ფილოსოფიით გატაცებული ი. ცინცაძე წერს ფილოსოფიური ხასიათის ლექსს „ტყე", რომელშიც ილაშქრებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს ლექსი რევოლუციურად განწყობილ სტუდენტმა ამხანაგებმა ყაზანის მოწინავე გაზეთში დასტამბეს.

სამშობლოში დაბრუნებული ი. ცინცაძე აქტიურად მოღვაწეობს ქართულ პერიოდულ პრესაში. ია ეკალაძის ფსევდონიმით აქვეყნებს თავის გულმართალ მოთხრობებს.

ხანგრძლივი და საინტერესო იყო ია ეკალაძის ცხოვრება და მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე, მაგრამ მისი დაუდეგარი ბუნება და დიდი ტემპერამენტი არასოდეს არ შემოიფარგლებოდა მარტო პედაგოგიური შრომით. ი. ცინცაძე იწყებს ყოველდღიური გაზეთის „ქართლის" გამოცემას, რომელსაც თვითონ რედაქტორობს. ამ გაზეთის თანამშრომელნი იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, ირ. ევდოშვილი, ი. გრიშაშვილი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. ცინცაძე მასწავლებლობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩოხატაურში, ლანჩხუთში, ონში, ხაშურში, თელავში და სხვ.

ცხინვალში მასწავლებლობის დროს ი. ცინცაძე დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. იგი იბრძოდა ოსი ხალხის სწავლა-განათლებისათვის, ქართული თეატრის შექმნისათვის.

რევოლუციის შემდეგ ი. ცინცაძემ შეადგინა და გამოსცა „სამართლის მეცნიერების" და „სიტყვიერების თეორიის" სახელმძღვანელოები. დიდი ეროვნული საქმე გააკეთა ი. ცინცაძემ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიის გამოცემით.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ია ეკალაძის შრომებს ცალკე წიგნებად, რომელთაც მზის სინათლე საბჭოთა სინამდვილეში ეღირსათ, რომ წარმოვიდგინოთ ამ მწერლის თავდადებული შრომა თავისი საყვარელი ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

მართალი იყო მწერალი, როცა წერდა: „გულწრფელი იყო ჩემი სამსახური ჩემი სამშობლოსადმი, ვიცი და მჯერა, რომ ჩემი ხალხის სიყვარული თან გამყვება".

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში [illegible] ამინდი იყო. ყველაზე მაღალი ტემპერატურა - 20 გრადუსი აღინიშნა [illegible], ქუთაისში, საჩხერეში. აღმოსავლეთ საქართველოშიც თითქმის ყველგან მზიანი ამინდი იდგა. 22 გრადუსი სითბო იყო გარდაბანში; ბოლნისში, თელავში, გურჯაანში — 21, თბილისში 20 გრადუსი სითბო.

დღეს, 7 აპრილს თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით 16-18, ღამით 5-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ბარში დღისით იქნება 14-19, ღამით 1-6 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 6-11 გრადუსი სითბო, ღამით 0-2 გრადუსი სითბო.

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში მცირე წვიმა, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 14-19, ღამით 6-9 გრადუსი სითბო. მთაში დღისით 7-12, ღამით 2-4 გრადუსი სითბო.

ახალგაზრდა პიანისტის წარმატება

ბევრი ხალხი შეიკრიბა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში, სადაც სოლო კონცერტი გამართა ახალგაზრდა პიანისტმა, მოსკოვის კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტმა რ. ხუნწარიამ. თბილისელი მსმენელები კარგად იცნობენ რ. ხუნწარიას ხელოვნებას. უკვე მეოთხე წელია, ყოველ გაზაფხულზე იგი საანგარიშო კონცერტებს მართავს მშობლიური ქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის წინაშე და ყოველი მისი გამოსვლა მოწმობს, რომ იგი შემოქმედებითად იზრდება, სულ უფრო მეტ არტისტულობას იძენს ოსტატობის დაუფლების გზაზე.

კონცერტის პროგრამაში შედიოდა დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა დიდი ფორმის ნაწარმოებები. პირველ განყოფილებაში აჟღერდა ბეთჰოვენის სამნაწილიანი № 26 სონატა და მენდელსონის 17 სერიოზული ვარიაცია, მეორე განყოფილებაში — შოპენის ფანტაზია ფა მინორი და სონატა სიბემოლ მინორი.

რ. ხუნწარია ყურადღებას იპყრობს თავისი სერიოზულობითა და არტისტულობით, მას შეუძლია სრულად გაშუქოს ნაწარმოების არსი. ახალგაზრდა შემსრულებლის ეს თვისებები არაერთხელ აღუნიშნავთ სპეციალისტებს.

დიდი ინტერესით შეხვდნენ მსმენელები მუსიკოსის მიერ ბეთჰოვენის სონატის შესრულებას, რომელიც მან დაუკრა გამომსახველად და მკაფიოდ.

— მახარებს ჩემი ყოფილი მოსწავლის წარმატებები, — თქვა თბილისის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის პედაგოგმა ე. მგალობლიშვილმა — ეს კონცერტი მოწმობს, რომ რუსუდანი იზრდება როგორც შემსრულებელი.

— კონცერტში განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, — თქვა მუსიკისმცოდნე ი. გაბიჩვაძემ, — მენდელსონის ვარიაციების დაკვრამ, რომელიც ჩვენში იშვიათად სრულდება ხოლმე. პიანისტმა იგი დაუკრა საინტერესოდ და საკმაო პროფესიულობით. რ. ხუნწარიას დაკვრაში არ არის გარეგნული ეფექტები. ამჯერადაც მუსიკოსმა გვიჩვენა, რომ იგი სერიოზული პიანისტია.

ამავე პროგრამით რ. ხუნწარია წარმატებით გამოვიდა ქუთაისში, სადაც ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი ნიჭი და პიანისტის ჩინებული თვისებები. (საქინფორმი).



მსახიობის სახლი თბილისში.

შ. ჩხეტიანის ფოტო.

50 მილიონი ხე საიუბილეოდ!

ჯილდო — მეტყევეებს

თიანეთი. (საკ. კორ.). საბადურის უღრან ტყეებს და ივრისპირეთის აჭრილ კორომებს შრომისმოყვარე, თავიანთი საქმეების ტრფიალი ადამიანები უვლიან, მათი სასახელო შრომა არაერთხელ აღნიშნულა პარტიისა და მთავრობის მაღალი ჯილდოებით — გარდამავალი წითელი დროშებით, ფულადი პრემიებით, საპატიო სიგელებით.

თიანეთელი მეტყევეები, როგორც ძვირფას რელიკვიას, ისე უფრთხილდებიან სამახსოვრო დროშას, რომელიც სატყეო მეურნეობის კოლექტივმა მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. აქვეა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელი და ცნობა იმის შესახებ, რომ თიანეთის სატყეო მეურნეობა შეტანილია სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო წიგნში.

სახელოვანმა კოლექტივმა ამას წინათ კიდევ ერთი სასახელო ჯილდო მიიღო. ეს გახლავთ რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია (1.700 მანეთი), რომელიც თიანეთელ მეტყევეებს მიენიჭათ 1971 წლის მეოთხე კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის.

ამასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო სხდომა. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელმა დ. გურულმა გარდამავალი წითელი დროშა გადასცა თიანეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს გ. გიორგაძეს.

სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ განიხილა და ერთსულოვნად მიიღო 1972 წლის სოციალისტური ვალდებულებანი და შეჯიბრებაში გამოიწვია დუშეთის სატყეო მეურნეობის კოლექტივი.

იხარე, ნერგო!

მახარაძე. (საკ. კორ.). როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანისა და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა მშრომელები. სოფელ ნატანებში ერთ-ერთ ცენტრალურ გორაკსა და მის ფერდობზე ამ 15-16 წლის წინათ გააშენეს ციტრუსოვანთა პლანტაცია, ააგეს ობელისკი და ამ ადგილს უწოდეს მეგობრობის ბაღი; აქ მოყვანილ მოსავალს ყოველწლიურად უგზავნიან თავიანთ სომეხ მეგობრებს.

ამ დღეებში ნატანებს ესტუმრა ნალბანდიანელთა დელეგაცია, სტუმრებმა ინახულეს თავიანთი ბაღი და მასპინძლებთან ერთად სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით 50 ძირი ციტრუსოვანთა ნერგი დარგეს.

დარგულია 250.000 ძირი ხე

მცხეთა. („კომუნისტის" კორ.). — საიუბილეო წელს დავრგოთ 833.500 ძირი წიწვიანი და ფოთლოვანი ხე! ასეთი დევიზით შეუდგნენ რაიონის მშრომელები ხეების რგვას, ტყე-პარკებისა და სკვერების მოწყობას. შაბათს, 2 აპრილს რაიონის მშრომელები მასობრივად გავიდნენ შაბათობაზე და ათასობით ძირი ხე დარგეს. სულ რაიონში დღემდე დარგულია 250.000 ძირი ხე.

ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ძალისის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. მათ დარგეს 2.500 ძირი ხე. საგურამოს მეურნეობამ დარგო 2.000 ხე, მცხეთის მევენახეობისა და ექსპერიმენტალურმა მეურნეობებმა — 2.000-2.700 ძირი. კარგად იმუშავეს კერამიკული სკოლის, საკაბელო მაგისტრალის (№ 5), ნავთობსაქაჩი სადგურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, ადგილობრივი მრეწველობის, ავტოსატრანსპორტო კანტორის, ნატახტარ-ქუთაისის გზათა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა. ერთ დღეს ორჯონიკიძისაკენ მიმავალ გზაზე დაირგო ასობით ძირი ხე.

დიდი სამუშაო შესრულდა ჯვარის მონასტრის მიდამოებში. აქ დარგეს ხეები და ბუჩქები ტყე-პარკის გასაშენებლად. მოკლე ხანში ეს მიდამო მთლიანად გამწვანდება. ახლა რაიონის მშრომელები ემზადებიან 15 აპრილის მასობრივი შაბათობისათვის.

ტყე-პარკები, ხეივნები

წულუკიძე. (საკ. კორ.). რაიონში მასობრივად გაჩაღდა მცენარეთა დარგვის სამუშაოები. ამ გაზაფხულზე გორდისა და ძეძილეთის სატყეო უბნებში, აგრეთვე კოლმეურნეობათა ეროზირებულ ადგილებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე 230 ათას ძირ ხეს რგავენ. მეტყევეებს დიდ დახმარებას უწევენ მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის, № 8 და № 9 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, რომლებმაც რამდენჯერმე მოაწყეს შაბათობები და უკვე 30 ათას ძირზე მეტი აკაცია, კოპიტი და ფიჭვი დარგეს. ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი სოფელ ახალბედისეულში 10 ჰექტარზე აშენებს ტყე-პარკს.

მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას სოფელ მათხოჯის ტერიტორიაზე 7 ჰექტარ ფართობზე გაშენდება ტყე-პარკი, სადაც უკვე 3 ათას ძირზე მეტი კედარი, ალვის ხე და ვერხვი დარგეს. იქვე ახლოს გააშენეს შინმოუსვლელთა ხეივანი. ხეებს რგავენ ქუთაისის, წყალტუბოსა და სამტრედიის გზატკეცილების, ქალაქებისა და სოფლების ქუჩების გაყოლებით, აგრეთვე ეზოებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ტანს აიყრიან ხეები

ბათუმი. (საკ. კორ.). ისედაც მარადმწვანე აჭარაში ყოველწლიურად ფართოვდება ბუნების მწვანე სამოსელი, მშრომელები რგავენ და ახარებენ ახალ ხეივნებს, ბაღებსა და ტყეებს. მარტო წელს აჭარაში დაირგვება ორ მილიონამდე ხე და ბუჩქი. მათ შორის 40 ათასი — ქალაქ ბათუმში, ნახევარ მილიონზე მეტი — ქობულეთის რაიონში, ასევე ბევრი ხე დაირგვება ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში.

ახალი ნარგავები დაამშვენებს ქალაქების პარკებსა და გარეუბნებს, საკურორტო ზონას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ ადგილებს, სადაც ნიადაგი ეროზიულია.

მშრომელებმა იკისრეს დარგვის შემდეგ მზრუნველობა არ მოაკლონ ახალ ნარგავებს. ამით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საქართველოს მშრომელების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

დიდი ჰოკეი პრაღას ეწვია

დღეს პრაღაში იწყება დიდი ჰოკეი — მსოფლიოსა და ევროპის პირველობანი. მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდები. ისევე როგორც გასულ ჩემპიონატებში, სპეციალისტებს ფავორიტებად მიაჩნიათ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდები, ამიტომ პირველობისათვის ბრძოლაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული სწორედ ამ გუნდების ერთმანეთთან შეხვედრებზე, მეტოქენი კი როგორც ცნობილია, ორ-ორჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

მსოფლიოს ჩემპიონის — სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თვალსაჩინო ცვლილებებია როგორც ხელმძღვანელობაში, ისე გუნდის შემადგენლობაში. ახლა ჩვენს ნაკრებს წვრთნიან ვ. ბობროვი და ნ. პუჩკოვი, რაც შეეხება შემადგენლობას, დღეს იგი ასე გამოიყურება: მეკარეები — ვ. ტრეტიაკი და ვ. შეპოვალოვი; დამცველები — ა. რაგულინი, გ. ციგანკოვი, ვ. კუზკინი, ა. გუსევი, ვ. ლუტჩენკო, ი. რომიშევსკი და ვ. ვასილიევი; თავდამსხმელები — ვ. ვიკულოვი, ა. მალცევი, ვ. ხარლამოვი, ბ. მიხაილოვი, ვ. პეტროვი, ი. ბლინოვი, ვ. სოლოდუხინი, ვ. შადრინი, ა. იაკუშევი, ვ. ანისინი და ე. მიშაკოვი.

როგორია საბჭოთა ჰოკეისტების შეხვედრათა კალენდარი?

დღეს საბჭოთა ნაკრები შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰოკეისტებს, **9 აპრილს** — ფინეთის გუნდს, **10 აპრილს** — შვეიცარიის ნაკრებს, **12 აპრილს** — ჩეხოსლოვაკიის გუნდს, **14 აპრილს** — შვეციის ნაკრებს. მეორე წრეში საბჭოთა გუნდი შეხვდება: **15 აპრილს** — გფრ-ს ჰოკეისტებს, **17 აპრილს** — ფინეთის ნაკრებს, **18 აპრილს** — შვეიცარიის გუნდს, **20 აპრილს** — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებს, **22 აპრილს** — შვეციის ნაკრებს.

რადიო-ექსპედიცია „სსრკ-50"

5 აპრილს 12 საათზე აზერბაიჯანელი მოკლეტალღოსნები დადგნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი „რადიოექსპედიციის" ვახტზე. ეს ექსპედიცია ეწყობა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, დოსააფის, საბჭოთა კავშირის რადიოსპორტის ფედერაციისა და ჟურნალ „რადიოს" ინიციატივით. იგი უკვე თოთხმეტი დღეა გრძელდება. აზერბაიჯანის ხუთი სამოყვარულო რადიოსადგური, რომლებმაც ესტაფეტა საქართველოს სპორტსმენებისაგან მიიღეს, მთელი დღე-ღამის განმავლობაში გაგზავნიან ეთერში „სსრკ-50" რადიოექსპედიციის სიგნალებს და დაამყარებენ კავშირს მსოფლიოს მოკლეტალღოსნებთან.

რუსეთის ფედერაციის რადიოსადგურებმა ერთი კვირის მანძილზე კავშირი დაამყარეს 180 ქვეყნის 40 ათასზე მეტ რადიომოყვარულთან. კარგი შედეგები აქვთ „რადიოექსპედიციის" ბელორუს მონაწილეებსაც. მათ მიიღეს გამოძახება და უპასუხეს 118 ქვეყნის სპორტსმენებს.

რადიოექსპედიცია „სსრკ-50" 7 ივნისამდე გაგრძელდება.

(ხაკდესი).

ფრე ბერლინში

მოსკოვისა და ბერლინის „დინამოს" გუნდებმა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი დაამთავრეს ფრედ — 1:1 (0:0). ფეხბურთის 30 ათასამდე მოყვარული შეიკრიბა ბერლინის იანის სახელობის პარკის სტადიონზე.

მოსკოველები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: პილგუი, ბასალაევი, ზიკოვი, ხაბო, დოლმატოვი, ჟუკოვი, იაკუბიკი, მახოვიკოვი, ბაიდაჩნი, კოჟემიაკინი და ევრიუჟიხინი.

უკვე მეხუთე წუთზე ბურთი მასპინძელთა კარის ბადეში აღმოჩნდა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოველთა მცველმა ზიკოვმა სულ რამდენიმე სანტიმეტრით ააცილა ბურთი კარს.

მოთამაშენი შესვენებაზე ისე წავიდნენ, რომ ანგარიში არ გაუხსნიათ. 54-ე წუთზე ბაიდაჩნიმ მოატყუა რამდენიმე მცველი და ბურთი მიაწოდა მარცხენა ფრთაზე ევრიუჟიხინს, რომელმაც ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა თავის მხრივ შექმნეს საშიში მომენტები პილგუის კართან. მე-60 წუთზე საბჭოთა მეკარემ ლამაზი ნახტომით იხსნა გუნდი გარდუვალი გოლისაგან.

თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე კოჟემიაკინმა თავის საჯარიმო მოედანზე ბურთი ხელში აიღო, ეგონა, რომ მსაჯს უკვე მიცემული ჰქონდა სასტვენი, მაგრამ თამაში გაჩერებული არ იყო და მსაჯმა საბჭოთა გუნდი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით დასაჯა. პენალტი კარგად გამოიყენა იოჰანსენმა.

საპასუხო მატჩი გაიმართება 20 აპრილს. (საკდესი).

პირველი ნახევარფინალები...

დასასრულს უახლოვდება პოპულარული ტურნირების — ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის გათამაშებანი ფეხბურთში. 5 აპრილს გაიმართა პირველი ნახევარფინალური მატჩები.

თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე პირველი ნახევარფინალური მატჩიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბავარიასა" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის" გუნდებს შორის ფრედ 1:1 დამთავრდა.

ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ჰოლანდიის „აიაქსმა" დაამარცხა პორტუგალიის „ბენფიკა" 1:0, ხოლო შოტლანდიის „სელტიკისა" და იტალიის „ინტერის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

უეფას თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩებში ინგლისის „ტოტენჰემმა" სძლია იტალიის „მილანს" 2:1, ხოლო უნგრეთის „ფერენცვაროშისა" და ინგლისის „ვულვერჰემპტონის" მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

საპასუხო მატჩები გაიმართება 19 აპრილს.

„ბრინჯაოს" პრეტენდენტები

მართალია, უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე პირველი ორი ადგილის ბედი კარგა ხანია გადაწყდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით ბრინჯაოს პრიზიორზე, რადგან ასეთ მედლებზე ერთბაშად რამდენიმე გუნდი აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან კიევის არმიის სასპორტო კლუბის (24 თამაშიდან 12 ქულა) და თბილისის „დინამოსა" და კიევის „სტროიტელის" გუნდები (11-11 ქულა).

5 აპრილს თბილისის „ბურევესტნიკი" დამარცხდა კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან შეხვედრაში 51:63 (27:31), კაუნასის „ჟალგირისმა" სძლია კიევის „სტროიტელს" 87:78 (40:37), მოსკოვის „დინამომ" მოუგო ვილნიუსის „სტატიბას" 80:58 (39:25).

სპორტი

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ვაკე)
9 და 10 აპრილს
ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის (უმაღლესი ლიგა).

9 აპრილს

„დინამო" მოსკოვი — „დინამო" თბილისი
სათადარიგო შემადგენლობანი.
დასაწყისი 3 საათზე.

10 აპრილს

ძირითადი შემადგენლობანი.
დასაწყისი 7 საათზე.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში 7 აპრილს, აბონემენტებზე 7 და 8 აპრილს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა 9 აპრილს 10 საათიდან.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

7 აპრილი

პირველი პროგრამით

11.05 — კინოპროგრამა „ეს სიმართლის დამკვიდრებაა", 12.15 — „ჯანმრთელობა". სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — მხატვრული ფილმი „შორეული საპატარძლო", 16.35 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.20 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ერთი იდეის ისტორია", 19.00 — მოსწავლეთათვის „ჩვენი შეკრების საპატიო სტუმარი", 19.20 — „ბრიგადის ხუთწლედი", 19.40 — „ჯანმრთელობის მსოფლიო დღე" (სტუდიაში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, პროფესორი ვ. ბოჭორიშვილი), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მელოდიიდან მელოდიამდე", მღერის ნანი ბრეგვაძე, 20.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა", 21.00 — კონან დოილი — სატელევიზიო დადგმა „მოცეკვავე კაცუნები" (განმეორებით), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „კანონიერების სადარაჯოზე", 22.50 — სატელევიზიო ფილმი, 23.25 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. სსრ კავშირი-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გადმოცემა პრაღიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ფრანგული ენა (კლასგარეშე მუშაობა ფრანგულ ენაში), 19.15 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა და ლიტერატურა („დიდი სამამულო ომის პერიოდის საბჭოთა ლიტერატურა", გადაცემა პირველი), 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 21.10 — სტუდენტთა დასახმარებლად—ლექცია სკკპ ისტორიაში, 22.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

8 აპრილი

პირველი პროგრამით

09.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.15 — სტუდენტთა დასახმარებლად— ლექცია ზოგად ფიზიკაში, 12.15 — ეკრანი იკრებს მეგობრებს. საბჭოთა კავშირი–უნგრეთი (გადმოცემა ვოლგოგრადიდან), 13.15 — „ჯანმრთელობა". სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, 13.45 — კინოპროგრამა „ატომი ახალ სამსახურში" და „დიდი პასიანსი", 14.20 — „შევისწავლოთ ავტომობილი", 14.40 — „ჯადოსნური ეკრანი", 15.10 — „ეთერშია ახალგაზრდობა" — „ოსტატთა ქალაქი" (გადმოცემა რიგიდან), 16.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 17.30 — საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — მოსწავლეთათვის „მორბის არაგვი არაგვიანი", 18.30 — „სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხები და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „კარპატი" (ლვოვი)-ცსკა. II ტაიმი. 19.45 — „მოამბე". საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — „სსრკ-50" „ხელოვნების დიდი კერა" — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრი, 21.25 — „სსრკ-50" საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის თემა ქართულ მწერლობაში", 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30—პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" მე-3 სერია (ქართულ ენაზე).

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად— ლექცია ხაზვაში, 19.05 — კინონარკვევი „დიდი გზა", 19.35 — კონცერტი, 20.05 — მხატვრული ფილმი „პატარა უფლისწული".

თეატრები

7 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური—ჰამლეტი (21-ე აბონ. მე-3 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლმეურნის ქორწინება, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — მოულოდნელი სტუმარი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04489

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.